Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung

GmbHG

გერმანიის კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ



მთარგმნელი: ცოტნე ქოქიაშვილი

DGZR SONDERBAND 2026

თბილისი 2026

გერმანიის კანონი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ

Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung — GmbHG

მთარგმნელი ცოტნე ქოქიაშვილი

თბილისი
2026

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR RECHTSVERGLEICHUNG

ISSN 2587-5191 (ბეჭდური / print)

ISSN 2667-9817 (ონლაინ / online)

© ცოტნე ქოქიაშვილი, Tsotne Kokiashvili, 2026

© შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის რედაქცია, Redaktion der Deutsch-Georgischen Zeitschrift für Rechtsvergleichung, 2026

www.lawjournal.ge

სარჩევი

ნაწილი 1. საზოგადოების დაფუძნება 5
§1 მიზანი; დამფუძნებელთა რაოდენობა 5
§2 სადამფუძნებლო შეთანხმების ფორმა 5
§3 სადამფუძნებლო შეთანხმების შინაარსი 6
§4 საფირმო სახელწოდება 7
§4a საზოგადოების იურიდიული მისამართი 8
§5 საწესდებო კაპიტალი; წილი 8
§5a მეწარმის საზოგადოება 9
§6 დირექტორი 10
§7 საზოგადოების სარეგისტრაციოდ წარდგენა 12
§8 სარეგისტრაციო განაცხადის შინაარსი 13
§9 არაფულადი შენატანების გადაჭარბებული შეფასება 15
§9a საზოგადოების მოთხოვნები ზიანის ანაზღაურებაზე 15
§9b უარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე 16
§9c უარი რეგისტრაციაზე 17
§10 სარეგისტრაციო ჩანაწერის შინაარსი 18
§11 სამართლებრივი მდგომარეობა რეგისტრაციამდე 18
§12 საზოგადოების განცხადებები 19

ნაწილი 2. საზოგადოებისა და პარტნიორების სამართლებრივი ურთიერთობანი 19
§13 იურიდიული პირი; სავაჭრო საზოგადოება 19
§14 შენატანის ვალდებულება 20
§15 წილების გადაცემა 20
§16 სამართლებრივი მდგომარეობა პარტნიორთა ცვლილების ან მათი მონაწილეობის ფარგლების შეცვლისას; შეძენა არაუფლებამოსილი პირისგან 21
§17 (გაუქმებულია) 22
§18 თანასაკუთრება წილზე 22
§19 შენატანების განხორციელება 22
§20 ვადის გადაცილების პროცენტი 24
§21 წილის ჩამორთმევა 24
§22 სამართლებრივ წინამორბედთა პასუხისმგებლობა 25
§23 წილის აუქციონი 25
§24 დაუფარავი თანხების შეტანა 26
§25 სავალდებულო დებულებები 26
§26 დამატებითი შენატანების ვალდებულება 26
§27 დამატებითი შენატანის შეუზღუდავი ვალდებულება 26

§28 დამატებითი შენატანის შეზღუდული ვალდებულება ... 27
§29 მოგების განაწილება ... 28
§30 კაპიტალის შენარჩუნება ... 29
§31 აკრძალული დაბრუნების ანაზღაურება ... 29
§32 მოგების უკან დაბრუნება ... 30
§32a (გაუქმებულია) ... 30
§32b (გაუქმებულია) ... 30
§33 საკუთარი წილების შეძენა ... 31
§34 წილების გაუქმება ... 32

ნაწილი 3. წარმომადგენლობა და ხელმძღვანელობა ... 32
§35 საზოგადოების წარმომადგენლობა ... 32
§35a მონაცემები საქმიან წერილებზე ... 33
§36 სამიზნე მაჩვენებლები და ვადები ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ... 34
§37 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვები ... 35
§38 დირექტორის გათავისუფლება ... 36
§39 დირექტორის რეგისტრაცია ... 37
§40 პარტნიორთა სია, კანონქვემდებარე აქტის გამოცემის უფლებამოსილება ... 38
§41 საბუღალტრო აღრიცხვა ... 40
§42 ბალანსი ... 40
§42a წლიური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის წარდგენა ... 41
§43 დირექტორების პასუხისმგებლობა ... 42
§43a სესხის გაცემა საზოგადოების ქონებიდან ... 43
§44 დირექტორების მოადგილეები ... 43
§45 პარტნიორთა უფლებები ... 43
§46 პარტნიორთა კომპეტენციები ... 44
§47 კენჭისყრა ... 45
§48 პარტნიორთა კრება ... 45
§49 კრების მოწვევა ... 46
§50 უმცირესობის უფლებები ... 46
§51 მოწვევის ფორმა ... 47
§51a ინფორმაციის მიღებისა და გაცნობის უფლება ... 47
§51b სასამართლო გადაწყვეტილება ინფორმაციის მიღებისა და გაცნობის უფლების თაობაზე ... 48
§52 სამეთვალყურეო საბჭო ... 48

ნაწილი 4. ცვლილებები სადამფუძნებლო შეთანხმებაში ... 50
§53 წესდების ცვლილების ფორმა ... 50

§54 წესდების ცვლილების განცხადება და სარეგისტრაციოდ წარდგენა 51
§55 საწესდებო კაპიტალის გაზრდა 51
§55a ნებადართული კაპიტალი 52
§56 კაპიტალის გაზრდა არაფულადი შენატანებით 53
§56a შენატანების განხორციელება ახალ საწესდებო კაპიტალში 53
§57 გაზრდის რეგისტრაცია 53
§57a უარი რეგისტრაციაზე 54
§57b (გაუქმებულია) 54
§57c კაპიტალის გაზრდა საზოგადოების სახსრებიდან 54
§57d კაპიტალის და მოგების რეზერვების ასახვა 55
§57e ბოლო წლიური ბალანსის საფუძვლად გამოყენება; შემოწმება 55
§57f მოთხოვნები ბალანსის მიმართ 56
§57g წლიური ანგარიშგების წინასწარი გაცნობა 57
§57h კაპიტალის გაზრდის სახეები 57
§57i გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების განცხადება და სარეგისტრაციოდ წარდგენა 58
§57j წილების განაწილება 59
§57k ნაწილობრივი უფლებები; უფლებების განხორციელება 59
§57l მონაწილეობა საწესდებო კაპიტალის გაზრდაში 59
§57m უფლებების ურთიერთმიმართება; ურთიერთობები მესამე პირებთან 60
§57n ახალი წილების მონაწილეობა მოგებაში 60
§57o თვითღირებულება 61
§58 საწესდებო კაპიტალის შემცირება 62
§58a კაპიტალის გამარტივებული შემცირება 63
§58b თანხები რეზერვების გაუქმებისა და კაპიტალის შემცირებისგან 64
§58c ნავარაუდები ზარალის დადგომის არარსებობა 64
§58d მოგების გაცემა 65
§58e გადაწყვეტილება კაპიტალის შემცირების შესახებ 66
§58f კაპიტალის შემცირება საწესდებო კაპიტალის თანადროული გაზრდისას 66
§59 (გაუქმებულია) 67

ნაწილი 5. საზოგადოების დაშლა და ბათილობა 67
§60 დაშლის საფუძვლები 67
§61 დაშლა სასამართლო გადაწყვეტილებით 68
§62 დაშლა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 69
§63 (გაუქმებულია) 69
§64 (გაუქმებულია) 69
§65 დაშლის განცხადება და სარეგისტრაციოდ წარდგენა 69
§66 ლიკვიდატორები 70
§67 ლიკვიდატორების სარეგისტრაციოდ წარდგენა 70

§68 ლიკვიდატორების ხელმოწერა 71
§69 საზოგადოებისა და პარტნიორების სამართლებრივი ურთიერთობები 72
§70 ლიკვიდატორთა ამოცანები 72
§71 საწყისი ბალანსი; უფლებები და მოვალეობები 72
§72 ქონების განაწილება 73
§73 აკრძალვის წელი 73
§74 ლიკვიდაციის დასრულება 74
§75 ბათილობის სარჩელი 74
§76 ხარვეზის გამოსწორება პარტნიორთა გადაწყვეტილებით 75
§77 ბათილობის შედეგი 75

ნაწილი 6. სპეციალური დებულებები ფედერაციის მონაწილეობისას 76
§77a ორგანოების დაკომპლექტება საზოგადოებებში ფედერაციის უმრავლესობითი მონაწილეობით 76

ნაწილი 7. ნორმები საწესრიგო, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული ჯარიმების შესახებ 78
§78 რეგისტრაციისთვის წარდგენაზე ვალდებული პირები 78
§79 იძულებითი ჯარიმები 78
§80 (გაუქმებულია) 79
§81 (გაუქმებულია) 79
§82 ცრუ მონაცემები 79
§83 (გაუქმებულია) 80
§84 დანაკარგის შეტყობინების ვალდებულების დარღვევა 80
§85 საიდუმლოების დაცვის ვალდებულების დარღვევა 80
§86 ვალდებულებების დარღვევა წლიური ანგარიშგების შემოწმებისას 81
§87 ადმინისტრაციული ჯარიმის შესახებ ნორმები 82
§88 შეტყობინებები აუდიტორთა ზედამხედველობის ორგანოსთვის 83

დანართი 1. (§2-ის 1A პუნქტისთვის) 85

დანართი 2. (§2-ის მე-3 პუნქტისთვის) 91

კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ

ნაწილი 1. საზოგადოების დაფუძნება

§1 მიზანი; დამფუძნებელთა რაოდენობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები შესაძლოა ამ კანონის დებულებათა შესაბამისად, კანონით დაშვებული ნებისმიერი მიზნისთვის, ერთი ან რამდენიმე პირის მიერ იყოს დაფუძნებული.

§2 სადამფუძნებლო შეთანხმების ფორმა

(1) სადამფუძნებლო შეთანხმება საჭიროებს სანოტარო ფორმას. მას ხელს აწერს ყველა პარტნიორი.

(1a) საზოგადოება შეიძლება დაფუძნდეს გამარტივებული წესით, თუ მას ჰყავს არაუმეტეს სამი პარტნიორი და ერთი დირექტორი. გამარტივებული წესით დაფუძნებისთვის გამოიყენება 1-ელ დანართში განსაზღვრული სტანდარტული ოქმი. ამასთანავე, დაუშვებელია კანონისაგან განსხვავებული დებულებების გათვალისწინება. სტანდარტული ოქმი აგრეთვე ითვლება პარტნიორთა სიად. დანარჩენ შემთხვევებში სტანდარტულ ოქმზე შესაბამისად ვრცელდება ამ კანონის დებულებები სადამფუძნებლო შეთანხმების შესახებ.

(2) ხელმოწერა წარმომადგენელთა მეშვეობით მხოლოდ სანოტარო წესით შედგენილი ან დამოწმებული მინდობილობის საფუძველზეა დასაშვები. მინდობილობის სანოტარო წესით შედგენა შეიძლება ასევე ვიდე-

ოკომუნიკაციის მეშვეობით, სანოტარო დამოწმების შესახებ კანონის[1] §§16a-16e-ების შესაბამისად.

(3) სადამფუძნებლო შეთანხმების სანოტარო დამოწმება შეიძლება ასევე ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით, სანოტარო დამოწმების შესახებ კანონის §§16a-16e-ების შესაბამისად, რამდენადაც ფორმის შესახებ სხვა დებულებები ამას არ ეწინააღმდეგება; ამასთანავე, სადამფუძნებლო შეთანხმებაში შეიძლება შეტანილი იყოს საზოგადოებაში წილების დათმობის ვალდებულებებიც. ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით დამოწმების შემთხვევაში, 1-ელი პუნქტის მე-2 წინადადებისგან განსხვავებით, ხელმოწერისთვის საკმარისია დამოწმებაში ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით მონაწილე პარტნიორების კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერები. ნების სხვა გამოვლენანი, რომლებიც არ საჭიროებენ სანოტარო ფორმას, შეიძლება დამოწმდეს ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით, სანოტარო დამოწმების შესახებ კანონის §§16a-16e-ების შესაბამისად; ისინი შეტანილი უნდა იყოს 1-ელი წინადადების შესაბამისად შედგენილ ელექტრონულ ჩანაწერში. მე-3 წინადადება შესაბამისად გამოიყენება ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით დაფუძნება შეიძლება ასევე 1a პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული წესით ან მე-2 დანართით განსაზღვრული სტანდარტული ოქმების გამოყენებით. მე-2 დანართში განსაზღვრული სტანდარტული ოქმების გამოყენებისას, შესაბამისად მოქმედებს 1a პუნქტის მე-3-მე-5 წინადადებები.

§3 სადამფუძნებლო შეთანხმების შინაარსი

(1) სადამფუძნებლო შეთანხმება უნდა შეიცავდეს:

1. საზოგადოების საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;[2]

1 ნაგულისხმევია *Beurkundungsgesetz (BeurkG)*.

2 გერმანულ სამართალში მკაფიოდაა გამიჯნული საზოგადოების *Sitz* (წესდებით განსაზღვრული ქალაქი/მუნიციპალიტეტი სასამართლო განსჯადობისთვის) და *Geschäftsanschrift*

2. საწარმოს საქმიანობის საგანს;

3. საწესდებო კაპიტალის ოდენობას;

4. იმ წილების რაოდენობასა და ნომინალურ ღირებულებებს, რომლებსაც თითოეული პარტნიორი საწესდებო კაპიტალში შენატანის (საწესდებო შენატანის) სანაცვლოდ იღებს.

(2) თუ საწარმო განსაზღვრული ვადით უნდა დაფუძნდეს, ან თუ პარტნიორებს, კაპიტალური შენატანების განხორციელების გარდა, საზოგადოების მიმართ სხვა ვალდებულებებიც უნდა დაეკისროთ, ეს დებულებებიც სადამფუძნებლო შეთანხმებაში შეტანას საჭიროებს.

§4 საფირმო სახელწოდება

საზოგადოების საფირმო სახელწოდება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სავაჭრო კოდექსის[3] §22-ის ან სხვა საკანონმდებლო დებულებების შესაბამისად ხდება არსებული სახელწოდების შენარჩუნება,[4] უნდა შეიცავდეს აღნიშვნას „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან ამ აღნიშვნის საყოველთაოდ გასაგებ შემოკლებას. თუ საზოგადოება, საგადასახადო კოდექსის[5] §§51-68-ების შესაბამისად, ემსახურება მხოლოდ

(კონკრეტული ქუჩის მისამართი კორესპონდენციისთვის). ქართულ სამართალში „იურიდიული მისამართი“ და „ადგილსამყოფელი“ სინონიმებია, თუმცა წინამდებარე თარგმანში ისინი პირობითად გაიმიჯნა. შესაბამისად, მკითხველმა ტერმინში „იურიდიული მისამართი“ უნდა ამოიკითხოს *Sitz*-ის შინაარსი, ხოლო ტერმინში „ადგილსამყოფელი“ — *Geschäftsanschrift*-ის იდეა, და ისინი არ უნდა იქნეს გაგებული ქართული სამართლის სინონიმური მნიშვნელობით.

3 ნაგულისხმევია *Handelsgesetzbuch (HGB).*

4 საფირმო სახელწოდების შენარჩუნება (გერმ. *Firmenfortführung*) — გერმანული სავაჭრო სამართლის ინსტიტუტი (HGB-ის §22) რომლის თანახმად, საწარმოს შეძენის, მემკვიდრეობით მიღების ან სამართლებრივი ფორმის ცვლილებისას (მაგ., ინდივიდუალური საწარმოს ან პერსონალური საზოგადოების შპს-დ გარდაქმნისას), უფლებამონაცვლეს შეუძლია შეინარჩუნოს და გამოიყენოს ძველი, უკვე დამკვიდრებული საფირმო სახელწოდება.

5 საფირმო სახელწოდების შენარჩუნება (გერმ. *Firmenfortführung*) — გერმანული სავაჭრო სამართლის ინსტიტუტი (HGB-ის §22) რომლის თანახმად, საწარმოს შეძენის, მემკვიდრეობით მიღების ან სამართლებრივი ფორმის ცვლილებისას (მაგ., ინდივიდუალური საწარმოს

და უშუალოდ საგადასახადო შეღავათებით გათვალისწინებულ მიზნებს, შემოკლება შესაძლებელია იყოს „gGmbH“.[6]

§4a საზოგადოების იურიდიული მისამართი

საზოგადოების იურიდიული მისამართია ადგილი სახელმწიფოს ფარგლებში, რომელსაც განსაზღვრავს სადამფუძნებლო შეთანხმება.

§5 საწესდებო კაპიტალი; წილი

(1) საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 25000 ევროს.

(2) თითოეული წილის ნომინალური ღირებულება უნდა გამოისახოს ევროს მთელ რიცხვში. პარტნიორმა საზოგადოების დაფუძნებისას შეიძლება მიიღოს რამდენიმე წილი.[7]

(3) ცალკეული წილების ნომინალური ღირებულებების ოდენობა შეიძლება განისაზღვროს განსხვავებულად. ყველა წილის ნომინალური ღირებულებების ჯამი უნდა ემთხვეოდეს საწესდებო კაპიტალს.

(4) თუ უნდა განხორციელდეს არაფულადი შენატანები, სადამფუძნებლო შეთანხმებაში უნდა განისაზღვროს არაფულადი შენატანის საგანი

ან პერსონალური საზოგადოების შპს-დ გარდაქმნისას), უფლებამონაცვლეს შეუძლია შეინარჩუნოს და გამოიყენოს ძველი, უკვე დამკვიდრებული საფირმო სახელწოდება.

6 აბრევიატურა gGmbH იშიფრება, როგორც „gemeinnützige Gesellschaft mit beschränkter Haftung“ („საზოგადოებრივად სასარგებლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება”). პატარა „g“ აღნიშნავს სიტყვას „gemeinnützig“ („საზოგადოებრივად სასარგებლო/საქველმოქმედო“). გერმანული სამართალი უშვებს შესაძლებლობას, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმა გამოყენებული იყოს არაკომერციული, საქველმოქმედო მიზნებისთვის, რაც საგადასახადო შეღავათებს უკავშირდება.

7 მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება 2008 წლის რეფორმების *(MoMiG)* შემდეგ ჩამოყალიბდა ამ რედაქციით. ნაგულისხმევია შესაძლებლობა, რომ პარტნიორი ერთიანი წილის ნაცვლად ფლობდეს მრავალ ნომინალურ წილს, რაც ამარტივებს წილის ნაწილის გასხვისებას მისი წინასწარი დაყოფის გარეშე.

და იმ წილის ნომინალური ღირებულება, რომელსაც უკავშირდება არაფულადი შენატანი. პარტნიორებმა არაფულადი შენატანით დაფუძნების შესახებ ანგარიშში უნდა გადმოსცენ ის არსებითი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს არაფულადი შენატანის ღირებულების ადეკვატურობას, ხოლო საზოგადოებაზე საწარმოს გადასვლისას — მიუთითონ ბოლო ორი სამეურნეო წლის შედეგები.

§5a მეწარმის საზოგადოება[8]

(1) საზოგადოებამ, რომელიც ფუძნდება ისეთი საწესდებო კაპიტალით, რომელიც ნაკლებია §5-ის 1-ელი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობაზე, §4-ისგან განსხვავებით, საფირმო სახელწოდებაში უნდა ატაროს აღნიშვნა "Unternehmergesellschaft (haftungsbeschränkt)"[9] ან "UG (haftungsbeschränkt)".[10]

(2) §7-ის მე-2 პუნქტისგან განსხვავებით, რეგისტრაცია შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა საწესდებო კაპიტალი სრული ოდენობით იქნება შეტანილი. არაფულადი შენატანები დაუშვებელია.

(3) სავაჭრო კოდექსის §§242 და 264-ების შესაბამისად შესადგენი წლიური ანგარიშგების ბალანსში უნდა შეიქმნას სავალდებულო რეზერვი, რომელშიც შეტანილი იქნება წლიური მოგების ერთი მეოთხედი, შემცი-

8 5a მუხლის სათაურია *„Unternehmergesellschaft"*. მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნებოდა „სამეწარმეო საზოგადოება". თუმცა, ამ ტერმინის ქართული გაგებისგან განსხვავებით, *„Unternehmergesellschaft"* გერმანულ სამართალში წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სპეციალურ ფორმას. რადგანაც საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „სამეწარმეო საზოგადოება" გამოიყენება, როგორც კრებსითი ცნება ყველა სამეწარმეო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისთვის, წინამდებარე თარგმანში ეს ტერმინი გადმოტანილია როგორც „მეწარმის საზოგადოება", რათა თავიდან იყოს აცილებული ცნებათა აღრევა.

9 ეს აღნიშვნა ქართულად იქნებოდა „მეწარმის საზოგადოება (პასუხისმგებლობაშეზღუდული)".

10 არსის მხრივ, იგივეა, რაც მე-9 სქოლიოში, მხოლოდ *"Unternehmergesellschaft"* არის შემოკლებული, როგორც *"UG"*.

რებული წინა წლის ზარალით. რეზერვი შეიძლება გამოყენებულ იყოს მხოლოდ:

1. §57c მიზნებისთვის;

2. წლიური დანაკლისის გასათანაბრებლად იმდენად, რამდენადაც ის არ იფარება წინა წლის გაუნაწილებელი მოგებით;

3. წინა წლის გადმოყოლილი ზარალის გასათანაბრებლად იმდენად, რამდენადაც ის არ იფარება წლიური მოგებით.

(4) §49-ის მე-3 პუნქტისგან განსხვავებით, გადახდისუუნარობის საშიშროების არსებობისას პარტნიორთა კრება მოწვეული უნდა იყოს დაუყოვნებლივ.

(5) თუ საზოგადოება თავის საწესდებო კაპიტალს გაზრდის ისე, რომ იგი მიაღწევს ან გადააჭარბებს §5-ის 1-ელი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობას, 1-ელი-მე-4 პუნქტების დებულებები აღარ გამოიყენება; 1-ელი პუნქტის შესაბამისი საფირმო სახელწოდება შესაძლოა შენარჩუნდეს.

§6 დირექტორი

(1) საზოგადოებას უნდა ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე დირექტორი.

(2) დირექტორი შეიძლება იყოს მხოლოდ სრულად ქმედუნარიანი ფიზიკური პირი. დირექტორი ვერ იქნება პირი, რომელიც:

1. საკუთარ ქონებასთან დაკავშირებული ურთიერთობების გაძღოლისას, როგორც მხარდაჭერის მიმღები, სრულად ან ნაწილობრივ ექვემდებარება თანხმობის სავალდებულოობას (სამოქალაქო კოდექსის §1825);

2. განაჩენის ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ექვემდებარება პროფესიული, პროფესიის დარგობრივი, სამეწარმეო ან სამეწარმეო-დარგობრივი საქმიანობის აკრძალვას, თუკი საწარმოს საქმია-

ნობის საგანი სრულად ან ნაწილობრივ ემთხვევა აკრძალვის საგანს;

3. ერთი ან რამდენიმე განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის, კერძოდ:

a) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადების წარუდგენლობისათვის (გადახდისუუნარობის განცხადების შეუტანლობა),

b) სისხლის სამართლის კოდექსის §§283-283d-ებით[11] გათვალისწინებული დანაშაულებისათვის (გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაულები),

c) ამ კანონის §82-ით ან სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის[12] §399-ით გათვალისწინებული მცდარი მონაცემების მიწოდებისთვის,

d) სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის §400-ით, სავაჭრო კოდექსის §331-ით, რეორგანიზაციის შესახებ კანონის §346-ით[13] ან საჯაროობის შესახებ კანონის §17-ით[14] გათვალისწინებული მცდარი მონაცემების წარმოდგენისათვის,

e) სისხლის სამართლის კოდექსის §§263-264a-ებით ან §§265b-266a-ებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის,

დამნაშავედ იქნა ცნობილი და სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა, არანაკლებ ერთი წლის ვადით; ეს აკრძალვა მოქმედებს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ხუთი წელი, რაშიც არ ჩაითვლება დრო, რომ-

11 ნაგულისხმევია *Strafgesetzbuch (StGB).*

12 ნაგულისხმევია *Aktiengesetz (AktG).*

13 ნაგულისხმევია Umwandlungsgesetz (UmwG).

14 ნაგულისხმევია *Gesetz über die Rechnungslegung von bestimmten Unternehmen und Konzernen,* შემოკლებით - *Publizitätsgesetz (PublG).*

ლის განმავლობაშიც დამნაშავე უფლებამოსილი ორგანოს განკარგულებით მოთავსებული იყო შესაბამის დაწესებულებაში.

მე-2 წინადადების №2 შესაბამისად მოქმედებს, თუ პირი ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში ან ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმების სხვა მონაწილე სახელმწიფოში ექვემდებარება გათანაბრებულ აკრძალვას. მე-2 წინადადების №3 შესაბამისად მოქმედებს საზღვარგარეთ მსჯავრდებისას ისეთი ქმედების გამო, რომელიც გათანაბრებულია მე-2 წინადადების №3-ში დასახელებულ ქმედებებთან.

(3) დირექტორებად შეიძლება დაინიშნონ პარტნიორები ან სხვა პირები. დანიშვნა ხდება ან სადამფუძნებლო შეთანხმებით, ან მესამე ნაწილის[15] შესაბამისად.

(4) თუ სადამფუძნებლო შეთანხმებაში განსაზღვრულია, რომ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილია ყველა პარტნიორი, მაშინ დანიშნულ დირექტორებად ითვლებიან მხოლოდ ამ დებულების დადგენისას საზოგადოებაში არსებული პირები.

(5) პარტნიორები, რომლებიც განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიანიჭებენ ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას პირს, რომელიც არ შეიძლება იყოს დირექტორი, საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც წარმოიშობა ამ პირის მიერ საზოგადოების მიმართ არსებული მოვალეობების დარღვევით.

§7 საზოგადოების სარეგისტრაციოდ წარდგენა

(1) საზოგადოება სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით სარეგისტრაციოდ უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც აქვს მას იურიდიული მისამართი.

(2) სარეგისტრაციოდ წარდგენა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველ წილზე, თუკი არ არის შეთანხმებული არაფუ-

15 ნაგულისხმევია კანონის მე-3 ნაწილი (წარმომადგენლობა და ხელმძღვანელობა).

ლადი შენატანები, შეტანილია მისი ნომინალური ღირებულების მეოთხედი. საწესდებო კაპიტალში ჯამურად შეტანილი უნდა იყოს სულ მცირე იმდენი, რომ ფულადი შენატანების შეტანილი საერთო თანხა, იმ წილების ნომინალურ ღირებულებთა ჯამთან ერთად, რომლებისთვისაც უნდა განხორციელდეს არაფულადი შენატანები, აღწევდეს §5-ის 1-ელი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული მინიმალური საწესდებო კაპიტალის ნახევარს.

(3) არაფულადი შენატანები საზოგადოების სავაჭრო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენამდე საზოგადოებას ისე უნდა გადაეცეს, რომ ისინი საბოლოოდ დირექტორების მიერ თავისუფლად განკარგვადი იყოს.

§8 სარეგისტრაციო განაცხადის შინაარსი

(1) სარეგისტრაციო განაცხადს თან უნდა დაერთოს:

1. სადამფუძნებლო შეთანხმება და §2-ის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - იმ წარმომადგენელთა მინდობილობები, რომლებმაც ხელი მოაწერეს სადამფუძნებლო შეთანხმებას, ან ამ მოწმობების დამოწმებული ასლები;

2. დირექტორთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი,[16] თუკი ისინი სადამფუძნებლო შეთანხმებით არ არიან დანიშნულნი;

3. განმცხადებლების მიერ ხელმოწერილი ან განმცხადებლების კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით აღჭურვილი პარტნიორთა სია, §40-ის მოთხოვნათა შესაბამისად;

16 ორიგინალ ტექსტში გამოყენებულია ტერმინი *„die Legitimation der Geschäftsführer“* (დირექტორის ლეგიტიმაცია). *Legitimation* ამ კონტექსტში (სარეგისტრაციო წარმოება) გულისხმობს კონკრეტულ დოკუმენტს, რომელიც ამტკიცებს პირის თანამდებობაზე დანიშვნის ნამდვილობას (მაგ.: პარტნიორთა კრების ოქმი). ქართული სამართლებრივი პრაქტიკისა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ტერმინოლოგიის გათვალისწინებით, შინაარსობრივად ყველაზე ზუსტი შესატყვისია „უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი“.

4. §5-ის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობისას - ხელშეკრულებები, რაც საფუძვლად უდევს ამ პირობებს ან დადებულია მათ შესასრულებლად, და ანგარიში არაფულადი შენატანით დაფუძნების შესახებ;

5. თუ შეთანხმებულია არაფულადი შენატანები - დოკუმენტები იმის შესახებ, რომ არაფულადი შენატანების ღირებულება აღწევს მის სანაცვლოდ მიღებული წილების ნომინალურ ღირებულებას;

6. (გაუქმებულია).

(2) სარეგისტრაციო განაცხადი უნდა შეიცავდეს დასტურს, რომ §7-ის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შენატანები წილებზე განხორციელებულია და რომ შენატანის საგანი საბოლოოდ დირექტორების თავისუფალ განკარგვაშია. დასტურის სისწორეში არსებითი ეჭვის არსებობისას, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს მტკიცებულებები, მათ შორის, ევროკავშირში დაფუძნებული საფინანსო ინსტიტუტის ან საგადახდო მომსახურების გამწევის გადახდის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა.

(3) სარეგისტრაციო განაცხადში დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ არ არსებობს გარემოებები, რომლებიც §6-ის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების №2 და 3-ის, ასევე მე-3 და მე-4 წინადადებების შესაბამისად გამორიცხავს მათ დანიშვნას და რომ მათ განემარტათ სასამართლოს წინაშე შეუზღუდავი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესახებ.[17] განმარტება ფედერალური ცენტრალური რეესტრის შესახებ კანონის[18] §53-ის მე-2 პუნქტის შესაბამისად შეიძლება განხორციელდეს წერილობით; ის შეიძლება განხორციელდეს ასევე ნოტარიუსის ან

17 „შეუზღუდავი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება“ (გერმ. *„unbeschränkte Auskunftspflicht“)* - გულისხმობს დირექტორის ვალდებულებას, მარეგისტრირებელ სასამართლოს წარუდგინოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია (მათ შორის, ნასამართლეობის შესახებ), ყოველგვარი გამონაკლისისა და დაფარვის უფლების გარეშე.

18 ნაგულისხმევია *Gesetz über das Zentralregister und das Erziehungsregister,* შემოკლებით - *Bundeszentralregistergesetz (BZRG).*

საზღვარგარეთ დანიშნული ნოტარიუსის, მასთან გათანაბრებული იურიდიული პროფესიის წარმომადგენლის ან საკონსულო მოხელის მიერ.

(4) სარეგისტრაციო განაცხადში დამატებით უნდა მიეთითოს:

1. საზოგადოების ადგილსამყოფელი;

2. დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სახე და ფარგლები.

(5) ამ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენისას შესაბამისად გამოიყენება სავაჭრო კოდექსის §12-ის მე-2 ნაწილი.

§9 არაფულადი შენატანების გადაჭარბებული შეფასება

(1) თუ საზოგადოების სარეგისტრაციო განაცხადის სავაჭრო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენის მომენტისთვის არაფულადი შენატანის ღირებულება არ აღწევს მის სანაცვლოდ მიღებული წილის ნომინალურ ღირებულებას, პარტნიორმა დანაკლისის ოდენობით უნდა განახორციელოს ფულადი შენატანი. სხვა მოთხოვნები უცვლელი რჩება.

(2) 1-ელი პუნქტის 1-ელი წინადადებით გათვალისწინებული საზოგადოების მოთხოვნა ხანდაზმული ხდება საზოგადოების სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

§9a საზოგადოების მოთხოვნები ზიანის ანაზღაურებაზე

(1) თუ საზოგადოების დაფუძნების მიზნით არასწორი მონაცემები იქნა მიწოდებული, პარტნიორები და დირექტორები საზოგადოების წინაშე ვალდებულნი არიან, როგორც სოლიდარულმა მოვალეებმა, განახორციელონ ნაკლული შენატანები, აანაზღაურონ გასამრჯელო, რომელიც

არ არის შეტანილი დაფუძნების ხარჯებში,[19] და აანაზღაურონ სხვაგვარად წარმოშობილი ზიანი.

(2) თუ საზოგადოებას პარტნიორების მხრიდან შენატანებით ან დაფუძნების ხარჯებით განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ზიანი მიადგება, ყველა პარტნიორი ვალდებულია, აანაზღაუროს ის, როგორც სოლიდარულმა მოვალემ.

(3) ამ ვალდებულებებისგან პარტნიორი ან დირექტორი თავისუფლდება, თუ მან არ იცოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმომშობი ფაქტების შესახებ და კეთილსინდისიერი კომერსანტის გულისხმიერების გამოჩენის პირობებში არც უნდა სცოდნოდა.

(4) პარტნიორებთან ერთად, პასუხისმგებლობა თანაბრად ეკისრებათ იმ პირებსაც, ვისი ხარჯითაც პარტნიორებმა წილები მიიღეს. ისინი ვერ მიუთითებენ იმ გარემოებების არცოდნაზე, რომელიც მათ ხარჯზე მოქმედმა პარტნიორმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა კეთილსინდისიერი კომერსანტის გულისხმიერების გამოჩენისას.

§9b უარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე

(1) საზოგადოების მიერ §9a-ით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე უარის თქმა ან ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით საზოგადოების მორიგება ბათილია იმდენად, რამდენადაც ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ანაზღაურებაზე ვალდებული პირი გადახდისუუნაროა და გადახდისუუნარობის საქმის წარმოების თავიდან აცი-

19 ტერმინ „გასამრჯელოსთან“ დაკავშირებით: გერმანული ტერმინი *„Vergütung“* გადმოტანილია როგორც „გასამრჯელო“. ამ მუხლის მიზნებისთვის იგი აღნიშნავს დამფუძნებლის ან სხვა პირის მიერ მიღებულ თანხას კონკრეტული საქმიანობისთვის (მაგალითად, საზოგადოების დაფუძნების პროცესში გაწეული მომსახურებისთვის). ტერმინ „ანაზღაურების“ გამოყენება ამ შემთხვევაში გამოიწვევდა აღრევას ამავე წინადადებაში არსებულ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან. „გასამრჯელო“ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საუბარია ანაზღაურებაზე, რომელიც უკანონოდ გაიცა (არ იყო ასახული სადამფუძნებლო ხარჯებში) და არა მიყენებულ ზიანზე.

ლების მიზნით რიგდება თავის კრედიტორებთან, ან თუ ანაზღაურების ვალდებულება მოწესრიგდება რეაბილიტაციის გეგმით.

(2) საზოგადოების §9a-ით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ხანდაზმული ხდება ხუთ წელიწადში. ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება საზოგადოების სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციიდან, ან, თუ ანაზღაურების ვალდებულების წარმომშობი ქმედება მოგვიანებით განხორციელდა, - ამ ქმედების განხორციელებიდან.

§9c უარი რეგისტრაციაზე

(1) თუ საზოგადოება არ არის წესის დაცვით დაფუძნებული და სარეგისტრაციოდ წარდგენილი, სასამართლო უარს ამბობს რეგისტრაციაზე. ეს წესი ასევე მოქმედებს, თუ არაფულადი შენატანები არსებითად გადაჭარბებულად არის შეფასებული.

(2) სადამფუძნებლო შეთანხმების ხარვეზიანი, გამორჩენილი ან ბათილი დებულების გამო სასამართლოს შეუძლია 1-ელი პუნქტის შესაბამისად რეგისტრაციაზე უარი თქვას მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს დებულება, მისი გამორჩენა ან ბათილობა:

1. ეხება ფაქტებს ან სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც §3-ის 1-ელი პუნქტის ან სხვა იმპერატიული დებულებების საფუძველზე განსაზღვრული უნდა იყოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში, ან რომლებიც შეტანილ უნდა იყოს სავაჭრო რეესტრში ან სასამართლოს მიერ უნდა გამოქვეყნდეს;

2. არღვევს დებულებებს, რომლებიც მიღებულია მხოლოდ ან უპირატესად საზოგადოების კრედიტორთა დასაცავად ან სხვაგვარად საჯარო ინტერესებისთვის;

3. იწვევს სადამფუძნებლო შეთანხმების ბათილობას.

§10 სარეგისტრაციო ჩანაწერის შინაარსი

(1) სავაჭრო რეესტრის სარეგისტრაციო ჩანაწერში უნდა მიეთითოს საზოგადოების საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი, საზოგადოების ადგილსამყოფელი, საწარმოს საქმიანობის საგანი, საწესდებო კაპიტალის ოდენობა, სადამფუძნებლო შეთანხმების დადების თარიღი და დირექტორთა ვინაობა. გარდა ამისა, ჩანაწერში უნდა მიეთითოს დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სახის შესახებ.

(2) თუ სადამფუძნებლო შეთანხმება შეიცავს დებულებებს საზოგადოების განსაზღვრული ვადით არსებობის ან ნებადართული კაპიტალის შესახებ, ეს დებულებებიც უნდა აისახოს სარეგისტრაციო ჩანაწერში. თუ პირი, რომელიც უფლებამოსილია საზოგადოებისთვის განკუთვნილი ნების გამოვლენებისა და გზავნილების მიღებაზე, სავაჭრო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენილია ადგილობრივი მისამართით, ეს მონაცემებიც უნდა აისახოს ჩანაწერში; მესამე პირებთან მიმართებით აღნიშნული უფლებამოსილება ძალაშია, სანამ ის სავაჭრო რეესტრიდან არ ამოიშლება და ამოშლის შესახებ არ გამოქვეყნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მესამე პირისთვის ცნობილი იყო აღნიშნული უფლებამოსილების არარსებობა.

(3) (გაუქმებულია).

§11 სამართლებრივი მდგომარეობა რეგისტრაციამდე

(1) საზოგადოების იურიდიული მისამართის სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციამდე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც ასეთი,[20] არ არსებობს.

20 ტერმინი „როგორც ასეთი“ *(„Als Solche”)* მიუთითებს სუბიექტის სრულფასოვან სამართლებრივ სტატუსზე (საბოლოო ფორმაზე), განსხვავებით მისი წინარე სტატიისგან. იგი ასევე უთითებს მის დამოუკიდებელ სამართლებრივ ბუნებაზე. კანონში ეს ტერმინი რამდენიმეჯერაა ნახსენები. ვინაიდან ქართულ ენაში ამ სიტყვების ზუსტი თარგმანი არ არსებობს, ხოლო სხვაგვარი გადმოცემა მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნებოდა ორიგინალი

(2) თუ რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით განხორციელდა ქმედება, მოქმედი პირები პასუხს აგებენ პირადად და სოლიდარულად.

§12 საზოგადოების განცხადებები

თუ კანონი ან სადამფუძნებლო შეთანხმება განსაზღვრავს, რომ საზოგადოების მიერ რაიმე უნდა გამოქვეყნდეს, გამოქვეყნება ხორციელდება ფედერალურ მაცნეში (როგორც საზოგადოების ბეჭდვით ორგანოში). ამასთან, სადამფუძნებლო შეთანხმებით შესაძლოა საზოგადოების ბეჭდვით ორგანოდ განისაზღვროს სხვა საჯარო გამოცემები ან ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები.

ნაწილი 2. საზოგადოებისა და პარტნიორების სამართლებრივი ურთიერთობანი

§13 იურიდიული პირი; სავაჭრო საზოგადოება

(1) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ასეთს, დამოუკიდებლად აქვს თავისი უფლებები და მოვალეობები; მას შეუძლია შეიძინოს საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები მიწის ნაკვეთებზე, გამოვიდეს, როგორც მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

(2) საზოგადოების ვალდებულებებისთვის საზოგადოება კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი ქონებით.

(3) საზოგადოება მიიჩნევა სავაჭრო საზოგადოებად სავაჭრო კოდექსის მიზნებისთვის.

ტექსტისაგან, თარგმანში გამოყენებულია ტერმინი „როგორც ასეთი“ იმ დატვირთვით, რასაც იგი ატარებს გერმანულ ენაში.

§14 შენატანის ვალდებულება

თითოეულ წილზე უნდა განხორციელდეს შენატანი. განსახორციელებელი შენატანის ოდენობა განისაზღვრება საზოგადოების დაფუძნებისას სადამფუძნებლო შეთანხმებაში დადგენილი წილის ნომინალური ღირებულების მიხედვით. კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, განსახორციელებელი შენატანის ოდენობა განისაზღვრება წილის მიღების განცხადებაში[21] დადგენილი წილის ნომინალური ღირებულების მიხედვით.

§15 წილების გადაცემა

(1) წილები გასხვისებადი და მემკვიდრეობით გადაცემადია.

(2) თუ პარტნიორი თავის თავდაპირველ წილთან ერთად შეიძენს დამატებით წილებს, ეს წილები ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას.

(3) პარტნიორების მიერ წილების გადასაცემად საჭიროა სანოტარო ფორმით დადებული ხელშეკრულება.

(4) სანოტარო ფორმას საჭიროებს ასევე შეთანხმება, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გადაცემაზე. თუმცა, ამ ფორმის გარეშე მიღწეული შეთანხმება ნამდვილი ხდება წინა პუნქტის მიხედვით დადებული გადაცემის ხელშეკრულების მეშვეობით.

(5) სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება წილების გადაცემა დაუკავშირდეს დამატებით წინაპირობებს, მათ შორის, დამოკიდებული გახდეს საზოგადოების თანხმობაზე.

21 წილის მიღების განცხადება (გერმ. *Übernahmeerklärung*) — კაპიტალის გაზრდისას პირის მიერ სანოტარო წესით გაკეთებული განცხადება ახალი წილის მიღებისა და შესაბამისი შენატანის განხორციელების ვალდებულების შესახებ (იხ. §55-ის 1-ელი პუნქტი).

§16 სამართლებრივი მდგომარეობა პარტნიორთა ცვლილების ან მათი მონაწილეობის ფარგლების შეცვლისას; შეძენა არაუფლებამოსილი პირისგან

(1) საზოგადოებასთან ურთიერთობაში პარტნიორების, ან მათი მონაწილეობის ფარგლების შეცვლის შემთხვევაში წილის მესაკუთრედ ითვლება მხოლოდ ის, ვინც ასეთად არის აღრიცხული სავაჭრო რეესტრში არსებულ პარტნიორთა სიაში (§40). შემძენის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობაში განხორციელებული სამართლებრივი ქმედება ითვლება თავიდანვე ნამდვილად, თუ სია სამართლებრივი ქმედების განხორციელების შემდეგ დაუყოვნებლივ შეტანილი იქნა სავაჭრო რეესტრში.

(2) იმ შენატანის ვალდებულებებისთვის, რომლებიც ვადაგადაცილებულია იმ მომენტში, როცა შემძენი 1-ელი პუნქტის 1-ელი წინადადების თანახმად საზოგადოებასთან ურთიერთობაში წილის მესაკუთრედ ითვლება, შემძენი პასუხს აგებს გამსხვისებელთან ერთად.

(3) შემძენს შეუძლია წილი ან მასზე უფლება გარიგებით შეიძინოს არაუფლებამოსილი პირისგან, თუ გამსხვისებელი აღრიცხულია სავაჭრო რეესტრში მიღებულ პარტნიორთა სიაში, როგორც წილის მესაკუთრე. ეს წესი არ მოქმედებს, თუ სია შეძენის მომენტისთვის წილთან მიმართებით სამ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში იყო არასწორი და არასწორობა არ შეერაცხება უფლებამოსილ პირს. კეთილსინდისიერი შეძენა ასევე შეუძლებელია, თუ შემძენისთვის ცნობილი იყო უფლებამოსილების არარსებობის შესახებ, ან ეს უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ იყო ცნობილი, ან სიაზე რეგისტრირებულია შესაგებელი. შესაგებლის რეგისტრაცია ხდება დროებითი განკარგულების[22] საფუძველზე ან

22 ტერმინი „დროებითი განკარგულება“ (*„Einstweilige Verfügung“)* - გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 935-ე-942-ე მუხლებით გათვალისწინებული სასამართლო აქტი, რომელიც გამოიცემა გადაუდებელ შემთხვევებში უფლების დროებითი დაცვის მიზნით. შინაარსობრივად ის შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას. წინამდებარე თარგმანში ტერმინი „განკარგულება“ (და არა „განჩინება“) გამოყენებულია გერმანული *„Verfügung“*-ის ლინგვისტური შესატყვისის შესანარჩუნებლად, თუმცა, ეს სასამართლოს აქტია.

იმ პირის თანხმობით, ვისი უფლების წინააღმდეგაც არის მიმართული შესაგებელი. არ არის სავალდებულო იმის დასაბუთება, რომ შესაგებლის ავტორის უფლებას საფრთხე ემუქრება.

§17 (გაუქმებულია)

§18 თანასაკუთრება წილზე

(1) თუ წილი რამდენიმე თანამესაკუთრეს განუყოფლად ეკუთვნის, მათ შეუძლიათ ამ წილიდან გამომდინარე უფლებები მხოლოდ ერთობლივად განახორციელონ.

(2) წილზე განსახორციელებელი შესრულებებისთვის ისინი საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს.

(3) სამართლებრივი ქმედებები, რომლებიც საზოგადოებამ უნდა განახორციელოს წილის მესაკუთრის მიმართ, თუ არ არსებობს თანამესაკუთრეთა საერთო წარმომადგენელი, ნამდვილია მაშინაც, თუ ის განხორციელდება თუნდაც მხოლოდ ერთი თანამესაკუთრის მიმართ. პარტნიორის რამდენიმე მემკვიდრის მიმართ ეს დებულება გამოიყენება მხოლოდ იმ სამართლებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდება სამკვიდროს გახსნიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

§19 შენატანების განხორციელება

(1) წილებზე გადახდები უნდა განხორციელდეს ფულადი შენატანების პროპორციულად.

(2) პარტნიორები არ შეიძლება გათავისუფლდნენ შენატანების განხორციელების ვალდებულებისგან. საზოგადოების მოთხოვნის მიმართ გაქვითვა დასაშვებია მხოლოდ ისეთი ქონებრივი საგნების გადაცემიდან გამომდინარე მოთხოვნით, რომელთა ჩათვლაც შენატანის ვალდებულებაში შეთანხმებულია §5-ის მე-4 პუნქტის 1-ელი წინადადების შე-

საბამისად. არაფულადი შენატანის საგანზე დაუშვებელია დაკავების უფლების გამოყენება ისეთი მოთხოვნების გამო, რომლებიც არ ეხება უშუალოდ ამ საგანს.

(3) კაპიტალის შემცირების გზით პარტნიორები შენატანების განხორციელების ვალდებულებისგან შეიძლება გათავისუფლდნენ მაქსიმუმ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა საწესდებო კაპიტალი.

(4) თუ პარტნიორის ფულადი შენატანი, ეკონომიკური თვალსაზრისით და ფულადი შენატანის მიღებასთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა შეფასდეს, როგორც არაფულადი შენატანი (ფარული არაფულადი შენატანი), ეს არ ათავისუფლებს პარტნიორს შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან. თუმცა, ხელშეკრულებები არაფულადი შენატანის შესახებ და მათ შესასრულებლად განხორციელებული სამართლებრივი ქმედებები არ არის ბათილი. პარტნიორის ძალაში დარჩენილი ფულადი შენატანის ვალდებულებაში ჩაითვლება ქონებრივი საგნის ღირებულება საზოგადოების სავაჭრო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენის მომენტისთვის ან საზოგადოებისთვის მისი გადაცემის მომენტისთვის, თუკი ეს უკანასკნელი უფრო გვიან განხორციელდა. ჩათვლა არ ხორციელდება საზოგადოების სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციამდე. ქონებრივი საგნის ღირებულების სისწორის მტკიცების ტვირთი ეკისრება პარტნიორს.

(5) თუ შენატანის განხორციელებამდე შეთანხმდა პარტნიორის მიმართ ისეთი შესრულების განხორციელება, რომელიც ეკონომიკურად შეესაბამება შენატანის უკან დაბრუნებას და რომელიც არ უნდა შეფასდეს როგორც ფარული არაფულადი შენატანი მე-4 პუნქტის შესაბამისად, ეს ათავისუფლებს პარტნიორს შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან მხოლოდ მაშინ, თუ შესრულება დაფარულია სრულფასოვანი უკან დაბრუნების მოთხოვნით, რომელიც ნებისმიერ დროს არის ვადამოსული ან ვადამოსული შეიძლება გახდეს საზოგადოების მხრიდან დაუყოვნებლივი შეწყვეტით. ასეთი შესრულება ან შეთანხმება ასეთი შესრულების შესახებ მითითებული უნდა იყოს §8-ით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო განაცხადში.

(6) საზოგადოების მოთხოვნა შენატანების განხორციელებაზე ხანდაზმული ხდება მისი წარმოშობიდან ათი წლის გასვლის შემდეგ. თუ საზოგადოების ქონებაზე დაიწყება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, მოთხოვნა ხანდაზმული არ გახდება წარმოების დაწყების მომენტიდან ექვსი თვის გასვლამდე.

§20 ვადის გადაცილების პროცენტი

პარტნიორი, რომელიც დროულად არ გადაიხდის საწესდებო შენატანზე მოთხოვნილ თანხას, კანონის საფუძველზე ვალდებულია, გადაიხადოს ვადის გადაცილების პროცენტი.

§21 წილის ჩამორთმევა

(1) გადახდის დაყოვნების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელ პარტნიორს შეიძლება გაეგზავნოს განმეორებითი მოთხოვნა გადახდის შესახებ განსაზღვრული დამატებითი ვადის მითითებით და გაფრთხილებით იმ წილის შესაძლო ჩამორთმევის შესახებ, რომელზეც უნდა განხორციელდეს გადახდა. მოთხოვნა იგზავნება რეგისტრირებული წერილით. დამატებითი ვადა უნდა შეადგენდეს სულ მცირე ერთ თვეს.

(2) ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ უნდა გამოცხადდეს, რომ ვადის გადამცილებელ პარტნიორს საზოგადოების სასარგებლოდ ჩამოერთვა უფლება თავის წილსა და განხორციელებულ ნაწილობრივ გადახდებზე. ამის შესახებ შეტყობინება ხდება რეგისტრირებული წერილით.

(3) გარიცხული პარტნიორი პასუხისმგებელია იმ დანაკლისზე, რომელსაც საზოგადოება განიცდის არსებული დავალიანების ან საწესდებო შენატანზე სამომავლოდ მოთხოვნილი თანხების გამო.

§22 სამართლებრივ წინამორბედთა პასუხისმგებლობა

(1) გარიცხული პარტნიორის მიერ შეუსრულებელი შენატანის ვალდებულებისთვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს ასევე გარიცხული პირის უკანასკნელი და ყოველი ადრინდელი სამართლებრივი წინამორბედი, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობაში წილის მესაკუთრედ ითვლება.[23]

(2) უფრო ადრინდელი წინამორბედი პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, თუ მისი უფლებამონაცვლისგან გადახდის მიღება ვერ ხერხდება; საპირისპიროს დამტკიცებამდე ეს გარემოება ნავარაუდებია, თუკი ამ უკანასკნელმა გადახდა არ განახორციელა ერთი თვის გასვლამდე მას შემდეგ, რაც მას გაეგზავნა მოთხოვნა გადახდაზე, ხოლო წინამორბედს - შეტყობინება ამ მოთხოვნის შესახებ.

(3) წინამორბედის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმ შესრულებებით, რომლებიც ხუთი წლის ვადაში იქნა მოთხოვნილი შენატანის ვალდებულების შესასრულებლად. ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, რომლიდანაც უფლებამონაცვლე საზოგადოებასთან ურთიერთობაში წილის მესაკუთრედ ითვლება.

(4) დავალიანების თანხის გადახდის სანაცვლოდ წინამორბედი იძენს გარიცხული პარტნიორის წილს.

§23 წილის აუქციონი

თუ სამართლებრივ წინამორბედთაგან დავალიანების თანხის მიღება შეუძლებელია, საზოგადოებას შეუძლია წილი საჯარო აუქციონის გზით გაყიდოს. აუქციონი შეიძლება ჩატარდეს ნოტარიუსის მიერაც. გაყიდვის სხვა წესი დასაშვებია მხოლოდ გარიცხული პარტნიორის თანხმობით.

23 იგულისხმება პირი, რომელიც თავის დროზე სავაჭრო რეესტრში არსებულ პარტნიორთა სიაში იყო რეგისტრირებული, როგორც წილის მესაკუთრე. საზოგადოებასთან მიმართებით წილის მესაკუთრედ პირის მიჩნევის წესი დეტალურად იხ. §16-ის 1-ელ პუნქტში.

§24 დაუფარავი თანხების შეტანა

იმ ნაწილში, რომელშიც საწესდებო შენატანის ამოღება ვერ ხერხდება ვერც გადახდაზე ვალდებული პირებისგან და არც წილის გაყიდვით იფარება, დანარჩენმა პარტნიორებმა დაუფარავი თანხა თავიანთი წილების პროპორციულად უნდა შეიტანონ. თანხები, რომელთა მიღებაც ცალკეული პარტნიორებისგან შეუძლებელია, აღნიშნული პროპორციით გადანაწილდება დანარჩენებზე.

§25 სავალდებულო დებულებები

დაუშვებელია პარტნიორები გათავისუფლდნენ §§21-24-ებში აღნიშნული სამართლებრივი შედეგებისგან.

§26 დამატებითი შენატანების ვალდებულება

(1) სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს, რომ პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება წილების ნომინალური ღირებულებების გარდა დამატებითი გადახდების (დამატებითი შენატანების) მოთხოვნის თაობაზე.

(2) დამატებითი შენატანების გადახდა უნდა განხორციელდეს წილების პროპორციულად.

(3) დამატებითი შენატანის ვალდებულება სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული თანხით, რომელიც წილების პროპორციულად უნდა დადგინდეს.

§27 დამატებითი შენატანის შეუზღუდავი ვალდებულება

(1) თუ დამატებითი შენატანის ვალდებულება არ არის შეზღუდული განსაზღვრული თანხით, თითოეული პარტნიორი, რომელსაც სრულად აქვს შეტანილი საწესდებო შენატანი, უფლებამოსილია, თავი გაითავისუფლოს წილზე მოთხოვნილი დამატებითი შენატანის გადახდისგან

იმით, რომ გადახდის მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში საზოგადოების განკარგულებაში გადასცეს წილი მოთხოვნის ამ წილის ხარჯზე დასაკმაყოფილებლად. ანალოგიურად, თუ პარტნიორი დადგენილ ვადაში არც აღნიშნულ უფლებამოსილებას გამოიყენებს და არც გადახდას განახორციელებს, საზოგადოებას შეუძლია მას რეგისტრირებული წერილით განუცხადოს, რომ ეს წილი გადაცემულადაა მიჩნეული.

(2) საზოგადოებამ წილი უნდა გაყიდოს საჯარო აუქციონის გზით პარტნიორის ან საზოგადოების განცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში. გაყიდვის სხვა წესი დასაშვებია მხოლოდ პარტნიორის თანხმობით. გაყიდვის ხარჯებისა და დამატებითი შენატანის დავალიანების დაფარვის შემდეგ დარჩენილი თანხა უბრუნდება პარტნიორს.

(3) თუ გაყიდვის გზით საზოგადოების დაკმაყოფილება ვერ ხერხდება, წილი გადადის საზოგადოების საკუთრებაში. იგი უფლებამოსილია, წილი გაასხვისოს საკუთარი ანგარიშით.

(4) სადამფუძნებლო შეთანხმებით ზემოაღნიშნული დებულებების გამოყენება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც წილზე მოთხოვნილი დამატებითი შენატანები აჭარბებს განსაზღვრულ თანხას.

§28 დამატებითი შენატანის შეზღუდული ვალდებულება

(1) თუ დამატებითი შენატანის ვალდებულება შეზღუდულია განსაზღვრული თანხით, დამატებითი შენატანების გადახდის დაყოვნების შემთხვევაში, სადამფუძნებლო შეთანხმების განსხვავებული დათქმის არარსებობისას, შესაბამისად გამოიყენება §§21–23-ების ის დებულებები, რომლებიც საწესდებო შენატანების გადახდას ეხება. იგივე წესი მოქმედებს §27-ის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამატებითი შენატანის შეუზღუდავი ვალდებულების დროსაც, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამატებითი შენატანები არ აჭარბებს სადამფუძნებლო შეთანხმებით დადგენილ თანხას.

(2) სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს, რომ საწესდებო შენატანების სრულად მოთხოვნამდეც დასაშვებია იმ დამატე-

ბითი შენატანების მოთხოვნა, რომელთა გადახდაზეც ვრცელდება §§21-23-ების დებულებები.

§29 მოგების განაწილება

(1) პარტნიორებს უფლება აქვთ, მიიღონ წლიური მოგება, რომელსაც ემატება წინა წლის გაუნაწილებელი მოგება და აკლდება გადმოყოლილი ზარალი, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მიღებული თანხა კანონის ან სადამფუძნებლო შეთანხმების თანახმად, მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებით ან მოგების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე განსაზღვრული დამატებითი ხარჯის სახით არ არის გამორიცხული პარტნიორებზე გაცემისგან. თუ ბალანსი შედგენილია მოგების ნაწილობრივი განაწილების გათვალისწინებით ან თუ გახსნილია რეზერვები, მაშინ პარტნიორებს, 1-ელი წინადადებისგან განსხვავებით, უფლება აქვთ მიიღონ საბალანსო მოგება.

(2) მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებით პარტნიორებს შეუძლიათ, თუ სადამფუძნებლო შეთანხმება სხვა რამეს არ განსაზღვრავს, თანხები მიმართონ მოგების რეზერვებში ან გადაიტანონ გაუნაწილებელ მოგებაში.

(3) განაწილება ხდება წილების პროპორციულად. სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს განაწილების სხვა წესი.

(4) 1-ელი და მე-2 პუნქტების, ასევე მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული მოგების განაწილების განსხვავებული შეთანხმებების მიუხედავად, დირექტორებს სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა თანხმობით შეუძლიათ გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების ღირებულების აღდგენიდან წარმოშობილი საკუთარი კაპიტალის წილი შეიტანონ სხვა მოგების რეზერვებში. ამ რეზერვების თანხა ბალანსში ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები; მასზე შეიძლება მიეთითოს ბალანსის დანართშიც.

§30 კაპიტალის შენარჩუნება

(1) საზოგადოების ქონება, რომელიც საჭიროა საწესდებო კაპიტალის შესანარჩუნებლად, არ შეიძლება გაიცეს პარტნიორებზე. 1-ელი წინადადება არ ვრცელდება იმ შესრულებებზე, რომელიც ხორციელდება მართვის ან მოგების გადაცემის ხელშეკრულების (სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის §291) არსებობისას, ან რომელიც დაფარულია პარტნიორის მიმართ სრულფასოვანი საპასუხო შესრულების ან უკან დაბრუნების მოთხოვნით. გარდა ამისა, 1-ელი წინადადება არ გამოიყენება პარტნიორის სესხის უკან დაბრუნებაზე და მოთხოვნებზე, რომლებიც გამომდინარეობს ისეთი სამართლებრივი ქმედებებიდან, რომლებიც ეკონომიკურად პარტნიორის სესხს უთანაბრდება.

(2) შეტანილი დამატებითი შენატანები შეიძლება უკან დაუბრუნდეთ პარტნიორებს იმდენად, რამდენადაც ის არ არის საჭირო საწესდებო კაპიტალის დანაკლისის დასაფარად. უკან დაბრუნება არ შეიძლება განხორციელდეს სამი თვის გასვლამდე მას შემდეგ, რაც §12-ის შესაბამისად გამოქვეყნდება გადაწყვეტილება უკან დაბრუნების შესახებ. §28-ის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება დაუშვებელია საწესდებო შენატანების სრულად გადახდამდე. მიიჩნევა, რომ უკან დაბრუნებული დამატებითი შენატანები არც არასდროს შემოტანილა.

§31 აკრძალული დაბრუნების ანაზღაურება

(1) უკან დაბრუნება, რომელიც განხორციელდა §30-ის დებულებების საწინააღმდეგოდ, საზოგადოებას უნდა აუნაზღაურდეს.

(2) თუ მიმღები იყო კეთილსინდისიერი, ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იყოს მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად.

(3) თუ მიმღებისგან ანაზღაურების მიღება შეუძლებელია, ასანაზღაურებელ თანხაზე, რამდენადაც ის აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, პასუხს აგებენ დანარჩენი პარტნიორე-

ბი თავიანთი წილების პროპორციულად. თანხები, რომელთა მიღებაც ცალკეული პარტნიორებისგან შეუძლებელია, აღნიშნული პროპორციით გადანაწილდება დანარჩენებზე.

(4) ანაზღაურების მოთხოვნა, რომლებიც უნდა შესრულდეს ზემოხსენებული დებულებების საფუძველზე, შესრულებაზე ვალდებულ პირებს არ შეიძლება ეპატიოთ.

(5) საზოგადოების მოთხოვნები 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხანდაზმული ხდება ათ წელში, ხოლო მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში - ხუთ წელში. ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღის, როდესაც განხორციელდა გადახდა, რომლის ანაზღაურებაც მოითხოვება, გასვლიდან. 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისად გამოიყენება §19-ის მე-6 პუნქტის მე-2 წინადადება.

(6) მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარტნიორების მიერ განხორციელებული ანაზღაურებისთვის, ის დირექტორები, რომლებსაც აკრძალულ გადახდასთან დაკავშირებით ბრალი მიუძღვით, პარტნიორების წინაშე სოლიდარულად არიან ვალდებულნი აღნიშნული თანხის ანაზღაურებაზე. შესაბამისად გამოიყენება §43-ის 1-ელი და მე-4 პუნქტების დებულებები.

§32 მოგების უკან დაბრუნება

თუ არ არსებობს §31-ის 1-ელ პუნქტში აღნიშნული წინაპირობა, პარტნიორები არცერთ შემთხვევაში არ არიან ვალდებულნი, უკან დააბრუნონ თანხა, რომელიც მათ კეთილსინდისიერად მიიღეს მოგების წილის სახით.

§32a (გაუქმებულია)

§32b (გაუქმებულია)

§33 საკუთარი წილების შეძენა

(1) საზოგადოებას არ შეუძლია შეიძინოს ან გირავნობის სახით მიიღოს საკუთარი წილები, რომლებზეც შენატანები ჯერ სრულად არ არის განხორციელებული.

(2) საკუთარი წილები, რომლებზეც შენატანი სრულად არის განხორციელებული, საზოგადოებამ შეიძლება შეიძინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეძენის მომენტისთვის მას შეეძლება შექმნას რეზერვი შეძენის ხარჯების ოდენობით ისე, რომ არ შეამციროს საწესდებო კაპიტალი ან სადამფუძნებლო შეთანხმების მიხედვით შესაქმნელი ისეთი რეზერვი, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იყოს პარტნიორებზე გასაცემად. გირავნობის სახით მათი მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც საკუთარი წილების დაგირავებით უზრუნველყოფილი მოთხოვნების ჯამური ოდენობა, ან თუ დაგირავებული წილების ღირებულება უფრო დაბალია - ეს თანხა, არ აღემატება იმ ქონებას, რომელიც საწესდებო კაპიტალს აჭარბებს. 1-ელი და მე-2 წინადადებების დარღვევა წილების შეძენას ან დაგირავებას არ ხდის ბათილს; თუმცა, ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება აკრძალული შეძენის ან აკრძალული დაგირავების შესახებ ბათილია.

(3) საკუთარი წილების შეძენა, გარდა ამისა, დასაშვებია პარტნიორებისთვის კომპენსაციის მისაცემად გარდაქმნის შესახებ კანონის §29-ის 1-ელი პუნქტის, §125-ის 1-ელი პუნქტის (§29-ის 1-ელ პუნქტთან კავშირში), §207-ის 1-ელი პუნქტის, §313-ის 1-ელი პუნქტის, §327-ის (§313-ის 1-ელ პუნქტთან კავშირში) და §340-ის 1-ელი პუნქტის მიხედვით, თუ შეძენა ხორციელდება გარდაქმნის ძალაში შესვლიდან ან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში და საზოგადოება შეძენის მომენტისთვის შეძლებდა შეძენის ხარჯების ოდენობის რეზერვის შექმნას ისე, რომ არ შეემცირებინა საწესდებო კაპიტალი ან სადამფუძნებლო შეთანხმების მიხედვით შესაქმნელი ისეთი რეზერვი, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იყოს პარტნიორებზე გასაცემად.

§34 წილების გაუქმება

(1) წილების გაუქმება (ამორტიზაცია) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დაშვებულია სადამფუძნებლო შეთანხმებით.

(2) წილზე უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე გაუქმება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ამის წინაპირობები სადამფუძნებლო შეთანხმებაში დადგენილი იყო უფლებამოსილი პირის მიერ წილის შეძენამდე.

(3) §30-ის 1-ელი პუნქტის დებულება უცვლელი რჩება.

ნაწილი 3. წარმომადგენლობა და ხელმძღვანელობა

§35 საზოგადოების წარმომადგენლობა

(1) საზოგადოებას სასამართლოში და მის გარეთ წარმოადგენენ დირექტორები. თუ საზოგადოებას არ ჰყავს დირექტორი (ხელმძღვანელობის არარსებობა), საზოგადოებას წარმოადგენენ პარტნიორები, იმ შემთხვევაში, როცა მის მიმართ ნების გამოვლენა უნდა განხორციელდეს ან მას დოკუმენტები უნდა ჩაბარდეს.

(2) თუ დანიშნულია რამდენიმე დირექტორი, ისინი საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილნი არიან მხოლოდ ერთობლივად, თუ სადამფუძნებლო შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. თუ საზოგადოების მიმართ განსახორციელებელია ნების გამოვლენა, საკმარისია მისი განხორციელება 1-ელი პუნქტის შესაბამისად საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენლის მიმართ. 1-ელი პუნქტის შესაბამისად, საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ ნების გამოვლენა, ისევე როგორც საზოგადოებისთვის განკუთვნილი დოკუმენტების ჩაბარება, შეიძლება განხორციელდეს სავაჭრო რეესტრში რეგისტრირებულ საქმიან მისამართზე. ამისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა და ჩაბარება შეიძლება განხორციელდეს ასევე §10-ის მე-2 პუნქტის მე-

2 წინადადებით გათვალისწინებული მიღებაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრირებულ მისამართზე.

(3) თუ საზოგადოების ყველა წილი ერთი პარტნიორის ხელშია, ან მასთან ერთად თავად საზოგადოების ხელშია და ეს პარტნიორი ამავდროულად ამ საზოგადოების ერთპიროვნული დირექტორია, მის მიერ საზოგადოებასთან დადებულ სამართლებრივ გარიგებებზე გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის §181. მასსა და მის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებას შორის დადებული სამართლებრივი გარიგებები, თუნდაც ის არ იყოს ერთპიროვნული დირექტორი, მათი დადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აისახოს ჩანაწერში.[24]

§35a მონაცემები საქმიან წერილებზე

(1) კონკრეტული მიმღებისადმი გაგზავნილ ყველა საქმიან წერილში, მიუხედავად მისი ფორმისა, მითითებული უნდა იყოს საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და იურიდიული მისამართი, საზოგადოების იურიდიული მისამართის შესაბამისი სარეგისტრაციო სასამართლო და ნომერი, რომლითაც საზოგადოება რეგისტრირებულია სავაჭრო რეესტრში, ასევე ყველა დირექტორი, ხოლო თუ საზოგადოებას შექმნილი აქვს სამეთვალყურეო საბჭო და მას ჰყავს თავმჯდომარე — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, გვარისა და სულ მცირე ერთი სრულად დაწერილი სახელის მითითებით. თუ მითითება კეთდება საზოგადოების კაპიტალზე, მაშინ ყოველ შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს საწესდებო კაპიტალი, ხოლო თუ ფულადი შენატანები სრულად არ არის შეტანილი – გადაუხდელი შენატანების ჯამური ოდენობა.

24 ტერმინი „ჩანაწერი“ (გერმ. – *“Niederschrift”)* ამ მუხლის კონტექსტში გულისხმობს არა პარტნიორთა კრების კლასიკურ ოქმს, არამედ „თვითგარიგების“ ფაქტის სავალდებულო წერილობით დოკუმენტირებას. ვინაიდან ერთპიროვნულ საზოგადოებაში დირექტორი და პარტნიორი ერთი და იგივე პირია, აღნიშნული ნორმა ემსახურება გარიგების გამჭვირვალობას და საბუთების თარიღით მანიპულაციის (მაგ. ხელშეკრულების უკანა რიცხვით გაფორმების) თავიდან აცილებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგადასახადო მიზნებისთვის.

(2) 1-ელი პუნქტის 1-ელი წინადადებით გათვალისწინებული მონაცემები საჭირო არ არის შეტყობინებების ან ანგარიშების დროს, რომლებიც გაიცემა არსებული საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში და რომლებისთვისაც ჩვეულებრივ გამოიყენება ბლანკები, რომლებშიც მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში საჭირო განსაკუთრებული მონაცემები იწერება.

(3) შეკვეთის ბლანკები ითვლება საქმიან წერილებად 1-ელი პუნქტის შესაბამისად. მე-2 პუნქტი მათზე არ გამოიყენება.

(4) უცხოეთში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფილიალის მიერ გამოყენებულ ყველა საქმიან წერილსა და შეკვეთის ბლანკზე მითითებული უნდა იყოს რეესტრი, რომელშიც ფილიალი აღრიცხულია, და რეესტრის ჩანაწერის ნომერი; სხვა მხრივ, სათავო საწარმოსა და ფილიალის მონაცემებთან დაკავშირებით ვრცელდება 1-ელი-მე-3 პუნქტების დებულებები, თუ უცხოური სამართალი სხვაგვარ მოწესრიგებას აუცილებელს არ ხდის. თუ უცხოური საზოგადოება ლიკვიდაციის პროცესშია, მითითებული უნდა იყოს ეს ფაქტი და ყველა ლიკვიდატორი.

§36 სამიზნე მაჩვენებლები და ვადები ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად

იმ საზოგადოების დირექტორები, რომელზეც ვრცელდება მმართველობაში თანამონაწილეობის წესი,[25] ადგენენ სამიზნე მაჩვენებლებს დირექტორების ქვემდგომ მართვის ორ ხელმძღვანელ რგოლში ქალთა მონაწილეობისთვის. სამიზნე მაჩვენებლებმა უნდა მიუთითოს ქალთა სასურველი ხვედრითი წილი შესაბამის ხელმძღვანელ რგოლში და,

25 მმართველობაში თანამონაწილეობის წესი *(Mitbestimmung)* — გერმანული კანონმდებლობით დადგენილი რეგულაცია, რომელიც საწარმოში დასაქმებულებს (ან მათ წარმომადგენლობით ორგანოს) ანიჭებს უფლებას, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს წესი, დასაქმებულთა რაოდენობისა და საწარმოს სტრუქტურის მიხედვით, ვრცელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზეც.

პროცენტებში მითითებისას, უნდა შეესაბამებოდეს პირთა ოდენობის მთელ რიცხვობრივ მაჩვენებელს. თუ დირექტორები ერთ-ერთ ხელმძღვანელ რგოლში ქალთა წარმომადგენლობისთვის სამიზნე მაჩვენებლად ნულს დაადგენენ, მათ ეს გადაწყვეტილება ნათლად და გასაგებად უნდა დაასაბუთონ. დასაბუთებაში ვრცლად უნდა გადმოიცეს ის მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს გადაწყვეტილებას. თუ სამიზნე მაჩვენებლების დადგენისას ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი 30%-ზე ნაკლებია, ახალი სამიზნე მაჩვენებლები არ უნდა იყოს უკვე მიღწეულ მაჩვენებელზე ნაკლები. ამავდროულად, უნდა განისაზღვროს სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ვადები. თითოეული ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს.

§37 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვები

(1) დირექტორები საზოგადოების წინაშე ვალდებულნი არიან, დაემორჩილონ იმ შეზღუდვებს, რომლებიც საზოგადოების წარმომადგენლობისას მათი უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებით დადგენილია სადამფუძნებლო შეთანხმებით, ან თუ იგი სხვა რამეს არ განსაზღვრავს - პარტნიორთა გადაწყვეტილებებით.

(2) მესამე პირთა მიმართ, დირექტორების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას იურიდიული ძალა არ აქვს. ეს მათ შორის ეხება შემთხვევას, როდესაც წარმომადგენლობის ფარგლები უნდა გავრცელდეს მხოლოდ გარკვეულ გარიგებებზე ან გარიგებათა სახეებზე, ან უნდა განხორციელდეს მხოლოდ გარკვეულ გარემოებებში, გარკვეული დროით ან ცალკეულ ადგილებში, ან როდესაც ცალკეული გარიგებებისთვის მოითხოვება პარტნიორთა ან საზოგადოების რომელიმე ორგანოს თანხმობა.

§38 დირექტორის გათავისუფლება[26]

(1) დირექტორის გათავისუფლება შესაძლებელია ნებისმიერ დროს; ეს გავლენას არ ახდენს არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე კომპენსაციის მოთხოვნის უფლებაზე.

(2) სადამფუძნებლო შეთანხმებით, ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს და მისი გამოყენება დასაშვები იყოს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. ასეთ საფუძვლად, მათ შორის, მიიჩნევა მოვალეობის უხეში დარღვევა ან უუნარობა ჯეროვანი ხელმძღვანელობისა.

(3) დირექტორს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი გათავისუფლება, თუ ორსულობის,[27] მშობლის შვებულების, ოჯახის წევრის მოვლის ან ავადმყოფობის გამო იგი დროებით ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს და ამასთანავე, საზოგადოებას ჰყავს სულ მცირე კიდევ ერთი დირექტორი. თუ დირექტორი გამოიყენებს ამ უფლებას:

1. იგი უნდა გათავისუფლდეს იმ პირობით, რომ მას მიეცემა დედათა უფლებების დაცვის შესახებ კანონის[28] §3-ის 1-ელი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დაცვის ვადების გასვლის შემდეგ თავიდან დანიშვნის გარანტია;

---

26 კანონის გერმანულ ტექსტში როგორც ამ მუხლის სათაურად, ასევე ამ მუხლის პუნქტებში, გამოიყენება ტერმინი *„Widerruf der Bestellung“.* ის სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „დანიშვნის გაუქმება“. გერმანული ენის სინტაქსის მხრივ, ეს თარგმანი სწორი იქნებოდა, თუმცა, ქართულ ენაში ფრაზა „დანიშვნის გაუქმება“ სტილისტურად მძიმედ და ძალზე არაბუნებრივად ჟღერს. ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „გათავისუფლება“, წინამდებარე თარგმანში უპირატესობა მიენიჭა გამოყენებულ ტერმინს - „დირექტორის გათავისუფლება“.

27 გერმანულ ტექსტში გამოყენებულია ტერმინი *„Mutterschutz“* (სიტყვასიტყვით: „დედობის დაცვა“). თანამედროვე ქართულ სამართლებრივ ენაში აღნიშნული ტერმინი არ გამოიყენება. მას, ამ კონტექსტში, შინაარსობრივად შეესაბამება ტერმინი „ორსულობა“. აღსანიშნავია, რომ გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (gesetze-im-internet.de) განთავსებულ ინგლისურენოვან თარგმანშიც აღნიშნული ტერმინი გადმოტანილია როგორც pregnancy (ორსულობა). წინამდებარე თარგმანიც იზიარებს ამ მიდგომას.

28 ნაგულისხმევია *Gesetz zum Schutz von Müttern bei der Arbeit, in der Ausbildung und im Studium,* შემოკლებით - *Mutterschutzgesetz (MuSchG).*

2. მშობლის შვებულების, ოჯახის წევრის მოვლის ან ავადმყოფობის შემთხვევაში - იგი უნდა გათავისუფლდეს იმ პირობით, რომ მას მიეცემა დირექტორის მოთხოვნის შესაბამისად (არაუმეტეს სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ) ხელახლა დანიშვნის გარანტია; ამ შემთხვევაში გათავისუფლებაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას.

მე-2 წინადადების №2-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დირექტორის მოთხოვნით, იგი შეიძლება გათავისუფლდეს არაუმეტეს თორმეტი თვის ვადით. §77a-ის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება მე-2 ან მე-3 წინადადებების შესაბამისი ვადის განმავლობაში იმ დანიშვნებზე, რომლებიც ხორციელდება თუკი მონაწილეობის სავალდებულო წესი გათავისუფლების გარეშე დაცული იქნებოდა.

§39 დირექტორის რეგისტრაცია

(1) დირექტორთა შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილება, ისევე როგორც დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა, სავაჭრო რეესტრში სარეგისტრაციოდ უნდა იქნეს წარდგენილი.

(2) განაცხადს უნდა დაერთოს დირექტორების დანიშვნის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მოწმობები დედნის ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლის სახით.

(3) ახალმა დირექტორებმა განაცხადში უნდა დაადასტურონ, რომ არ არსებობს გარემოებები, რომლებიც §6-ის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების №2 და 3-ის, ასევე მე-3 და მე-4 წინადადების თანახმად მათ დანიშვნას ეწინააღმდეგება და რომ მათ განემარტათ სასამართლოს წინაშე მათი შეუზღუდავი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესახებ. გამოიყენება §8-ის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადება.

(4) (გაუქმებულია).

§40 პარტნიორთა სია, კანონქვემდებარე აქტის გამოცემის უფლებამოსილება

(1) დირექტორებმა, პარტნიორთა პიროვნების ან მათი მონაწილეობის მოცულობის ნებისმიერი ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ, სავაჭრო რეესტრში დაუყოვნებლივ უნდა წარადგინონ მათ მიერ ხელმოწერილი ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით დაცული პარტნიორთა სია, რომელშიც მითითებულია მათი გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და საცხოვრებელი ადგილი, ასევე თითოეული მათგანის მიერ მიღებული წილების ნომინალური ღირებულებები და რიგითი ნომრები, და თითოეული წილის ნომინალური ღირებულებით განპირობებული პროცენტული მონაწილეობა საწესდებო კაპიტალში. თუ პარტნიორი თავად არის იურიდიული პირი ან უფლებაუნარიანი პერსონალური საზოგადოება,[29] სიაში უნდა შევიდეს მისი საფირმო სახელწოდება ან სახელი, ადგილსამყოფელი და, რამდენადაც ეს კანონით არის გათვალისწინებული, შესაბამისი სარეგისტრაციო სასამართლო და რეესტრის ნომერი. სამოქალაქო სამართლის საზოგადოება[30] სიაში შეიძლე-

29 „უფლებაუნარიანი პერსონალური საზოგადოება“ *(Rechtsfähige Personengesellschaft)* - ეს ტერმინი გულისხმობს ისეთ სუბიექტს (მაგ.: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – OHG, კომანდიტური საზოგადოება – KG, ან რეგისტრირებული სამოქალაქო ამხანაგობა – eGbR), რომელიც, მართალია, არ წარმოადგენს „იურიდიულ პირს“ (გერმანულ სამართალში ეს საზოგადოებანი არ მიიჩნევა იურიდიულ პირად), მაგრამ კანონმდებლობა მას ანიჭებს დამოუკიდებელ უფლებაუნარიანობას. 2024 წლის რეფორმის *(MoPeG)* შედეგად, კანონმა მკაფიოდ გამიჯნა „უფლებაუნარიანი“ (გარე ურთიერთობებში მონაწილე) და „არაუფლებაუნარიანი“ (მხოლოდ შიდა ვალდებულებებით შემოფარგლული) პერსონალური საზოგადოებები. მოცემულ მუხლში საუბარია სწორედ პირველ კატეგორიაზე, რომელსაც საკუთარი სახელით შეუძლია ფლობდეს წილებს შპს-ში.

30 „სამოქალაქო სამართლის საზოგადოება“ *(Gesellschaft bürgerlichen Rechts - GbR)* - გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 705-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმაა. იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ამხანაგობის ანალოგია. ტრადიციულად, ის არარეგისტრირებული და ნაკლებად ფორმალური გაერთიანება იყო. თუმცა, 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებებით, თუ GbR-ს სურს, იყოს რეგისტრირებული უფლებების მფლობელი (მაგალითად: ფლობდეს უძრავ ქონებას ან იყოს შპს-ის პარტნიორი/წილის მფლობელი), იგი ვალდებულია დარეგისტრირდეს სპეციალურ რეესტრში და მიიღოს სტატუსი eGbR (რეგისტრირებული სამოქალაქო ამხანაგობა). წინამდებარე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს ასეთ რეგისტრაციას შპს-ის პარტნიორთა სიაში მოსახვედრად.

ბა შეტანილ იყოს და მის ჩანაწერში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რეგისტრირებულია საზოგადოებათა რეესტრში.[31] თუ პარტნიორი ფლობს ერთზე მეტ ცალკეულ წილს, პარტნიორთა სიაში დამატებით ცალკე უნდა მიეთითოს საწესდებო კაპიტალში მონაწილეობის ჯამური მოცულობა პროცენტული მაჩვენებლის სახით. დირექტორების მიერ სიის ცვლილება ხორციელდება შეტყობინებისა და თანმხლები მტკიცებულების საფუძველზე.

(2) თუ 1-ელი პუნქტის 1-ელი წინადადებით გათვალისწინებულ ცვლილებებში მონაწილეობდა ნოტარიუსი, იგი ვალდებულია, ამ ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ დაუყოვნებლივ, მიუხედავად ბათილობის შესაძლო საფუძვლებისა, რომლებიც შეიძლება მოგვიანებით წარმოიშვას, დირექტორების ნაცვლად ხელი მოაწეროს სიას ან დაადოს მას თავისი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა, წარადგინოს იგი სავაჭრო რეესტრში და შეცვლილი სიის ასლი გადასცეს საზოგადოებას. სიაში ნოტარულად უნდა იყოს დამოწმებული, რომ შეცვლილი ჩანაწერები შეესაბამება იმ ცვლილებებს, რომლებშიც ნოტარიუსმა მონაწილეობა მიიღო, ხოლო დანარჩენი ჩანაწერები ემთხვევა სავაჭრო რეესტრში ბოლოს შეტანილი სიის შინაარსს.

(3) დირექტორები, რომლებიც არღვევენ 1-ელი პუნქტით მათზე დაკისრებულ ვალდებულებას, ამით წარმოშობილი ზიანისთვის, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ საზოგადოების კრედიტორებისა და იმ პირთა წინაშე, ვისი მონაწილეობაც შეიცვალა.

(4) იუსტიციისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტრო უფლებამოსილია, ფედერალური საბჭოს თანხმობით, კანონქვემ-

31 „საზოგადოებათა რეესტრი“ *(Gesellschaftsregister)* - არის 2024 წლის რეფორმით (MoPeG) შემოღებული ახალი რეესტრი, რომელიც არსებობს სავაჭრო რეესტრის *(Handelsregister)* პარალელურად. მისი მთავარი დანიშნულებაა სამოქალაქო სამართლის საზოგადოებათა (GbR) რეგისტრაცია, რათა უზრუნველყოფილ იყოს მათი გამჭვირვალობა და საჯაროობა. თუ აქამდე GbR-ის წევრთა ვინაობა ხშირად ბუნდოვანი იყო მესამე პირებისთვის, ახლა ამ რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულო წინაპირობაა იმისთვის, რომ ამხანაგობამ განახორციელოს ისეთი იურიდიული ქმედებები, როგორიცაა შპს-ის წილების შეძენა ან პარტნიორთა სიაში ცვლილების რეგისტრაცია.

დებარე აქტით დაადგინოს უფრო დეტალური წესები პარტნიორთა სიის სტრუქტურის შესახებ.

(5) ფედერალური მიწების მთავრობები უფლებამოსილნი არიან, დადგენილებით განსაზღვრონ, რომ პარტნიორთა სიაში არსებული გარკვეული მონაცემები სავაჭრო რეესტრს უნდა გადაეცეს სტრუქტურირებული, მანქანით წაკითხვადი ფორმით, თუკი იუსტიციისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტროს მიერ საოჯახო საქმეებისა და ნებაყოფლობითი განსჯადობის საქმეთა წარმოების შესახებ კანონის[32] §387-ის მე-2 პუნქტის შესაბამისად არ იქნება დაწესებული სათანადო რეგულაციები. ფედერალური მიწების მთავრობებს შეუძლიათ, აღნიშნული უფლებამოსილება კანონქვემდებარე აქტით გადასცენ მიწის იუსტიციის ადმინისტრაციებს.

§41 საბუღალტრო აღრიცხვა

დირექტორები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ საზოგადოების საბუღალტრო აღრიცხვის ჯეროვანი წარმოება.

§42 ბალანსი

(1) სავაჭრო კოდექსის §§242-264-ების მიხედვით შესადგენი წლიური ანგარიშგების ბალანსში საწესდებო კაპიტალი უნდა აისახოს, როგორც ხელმოწერილი კაპიტალი.[33]

32 ნაგულისხმევია *Gesetz über das Verfahren in Familiensachen und in den Angelegenheiten der freiwilligen Gerichtsbarkeit (FamFG).*

33 „ხელმოწერილი კაპიტალი“ (გერმ. *Gezeichnetes Kapital)* არის გერმანიის სავაჭრო კოდექსით დამკვიდრებული საბუღალტრო ტერმინი. შპს-ის შემთხვევაში იგი შინაარსობრივად შეესაბამება „საწესდებო კაპიტალს“ *(Stammkapital).* ტერმინი აღნიშნავს კაპიტალის იმ ოდენობას, რომლის შეტანის ვალდებულებაც პარტნიორებმა აიღეს (რაზეც „ხელი მოაწერეს“) საზოგადოების დაფუძნებისას, მიუხედავად იმისა, სრულად არის თუ არა ეს თანხა რეალურად შეტანილი ბალანსის შედგენის მომენტისთვის.

(2) საზოგადოების უფლება, პარტნიორებს მოსთხოვოს დამატებითი შენატანები, ბალანსში უნდა აისახოს აქტივად იმდენად, რამდენადაც მათი მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და პარტნიორებს არ აქვთ უფლება, თავი გაათავისუფლონ დამატებითი შენატანების გადახდისგან წილის დათმობის გზით. გადასახდელი დამატებითი თანხა აქტივის მხარეს, მოთხოვნების მუხლში, ცალკე უნდა აისახოს სახელწოდებით "Eingeforderte Nachschüsse",[34] თუკი გადახდა მოსალოდნელია. აქტივის მუხლის შესაბამისი თანხა პასივის მხარეს ცალკე უნდა აისახოს მუხლში „Kapitalrücklage"[35].

(3) პარტნიორებზე გაცემული სესხები, მათ მიმართ არსებული მოთხოვნები და მათ წინაშე არსებული ვალდებულებები, როგორც წესი, თითოეულ შემთხვევაში ცალკე უნდა აისახოს ან მიეთითოს განმარტებით შენიშვნებში; თუ ისინი სხვა მუხლებშია ასახული, ეს გარემოება უნდა აღინიშნოს.

§42a წლიური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის წარდგენა

(1) დირექტორებმა წლიური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიში მათი შედგენისთანავე დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინონ პარტნიორებს წლიური ანგარიშგების დამტკიცების მიზნით. თუ წლიური ანგარიშგება აუდიტორულ შემოწმებას ექვემდებარება, დირექტორებმა იგი მმართველობის ანგარიშთან და აუდიტორის დასკვნასთან ერთად უნდა წარადგინონ აუდიტორის დასკვნის მიღებისთანავე. თუ საზოგადოებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, ასევე დაუყოვნებლივ უნდა იყოს წარდგენილი მისი ანგარიში შემოწმების შედეგების შესახებ.

(2) პარტნიორებმა წლიური ანგარიშგების დამტკიცებისა და მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ სამეურნეო წლის პირველი რვა თვის გასვლამდე, ხოლო თუ საქმე ეხება მცირე საწარმოს

34 ქართული მნიშვნელობა: „მოთხოვნილი დამატებითი შენატანები".

35 ქართული მნიშვნელობა: „სარეზერვო კაპიტალი".

(სავაჭრო კოდექსის §267-ის 1-ელი ნაწილი) - სამეურნეო წლის პირველი თერთმეტი თვის გასვლამდე. სადამფუძნებლო შეთანხმებით დაუშვებელია ამ ვადის გაგრძელება. წლიური ანგარიშგების დამტკიცებისას გამოიყენება ის წესები, რომლებიც მოქმედებს მისი შედგენისთვის.

(3) თუ წლიური ანგარიშგება აუდიტორმა შეამოწმა, პარტნიორის მოთხოვნის შემთხვევაში, იგი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს წლიური ანგარიშგების დამტკიცებასთან დაკავშირებულ განხილვაში.

(4) თუ საზოგადოება ვალდებულია, შეადგინოს კონსოლიდირებული წლიური ანგარიშგება[36] და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში[37], შესაბამისად გამოიყენება 1-ელი-მე-3 პუნქტები. იგივე წესი მოქმედებს სავაჭრო კოდექსის §325-ის 2a ნაწილით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, თუ პარტნიორებმა გადაწყვიტეს ასეთი ანგარიშგების გასაჯაროება.

§43 დირექტორების პასუხისმგებლობა

(1) დირექტორებმა საზოგადოების საქმეების გაძღოლისას უნდა გამოიჩინონ კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის მზრუნველობა.

(2) დირექტორებს, რომლებიც თავიანთ მოვალეობებს არღვევენ, წარმოშობილი ზიანისთვის საზოგადოების წინაშე ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა.

36 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება *(Konzernabschluss)* - გერმანიის სავაჭრო კოდექსის მიხედვით (290-ე და შემდგომი მუხლები), წარმოადგენს ფინანსურ დოკუმენტს, რომელიც აერთიანებს ე.წ. „დედა საწარმოსა“ და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ მონაცემებს (აქტივებს, ვალდებულებებს, კაპიტალს) ისე, თითქოს ისინი ერთ სამეწარმეო სუბიექტს წარმოადგენდნენ (შიდა გარიგებების გამორიცხვით).

37 კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში *(Konzernlagebericht)* - გერმანიის სავაჭრო კოდექსის მიხედვით (290-ე და შემდგომი მუხლები) არის აღწერილობითი ხასიათის დოკუმენტი, რომელიც ერთვის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას. იგი მიმოიხილავს ე.წ. „დედა საწარმოსა“ და მისი შვილობილი კომპანიებისგან შემდგარი ჯგუფის (როგორც ერთიანი ეკონომიკური ერთეულის) საქმიანობის მიმდინარეობას, არსებულ რისკებსა და განვითარების პროგნოზს.

(3) მათ შორის, მათ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებათ მაშინ, თუ §30-ის დებულებების დარღვევით განხორციელდა გადახდები საზოგადოების იმ ქონებიდან, რომელიც საჭიროა საწესდებო კაპიტალის შესანარჩუნებლად, ან თუ §33-ის დებულებების დარღვევით შეძენილი იქნა საზოგადოების საკუთარი წილები. ანაზღაურების მოთხოვნაზე შესაბამისად ვრცელდება §9b-ის 1-ელი პუნქტის დებულებები. რამდენადაც ანაზღაურება საჭიროა საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, დირექტორების ვალდებულება არ ქარწყლდება იმ გარემოებით, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად.

(4) ზემოაღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადაა ხუთი წელი.

§43a სესხის გაცემა საზოგადოების ქონებიდან

დირექტორებზე, სხვა კანონიერ წარმომადგენლებზე, პროკურისტებზე ან მთლიან სამეურნეო საქმიანობაზე უფლებამოსილ სავაჭრო რწმუნებულებზე სესხის გაცემა დაუშვებელია საზოგადოების იმ ქონებიდან, რომელიც საჭიროა საწესდებო კაპიტალის შესანარჩუნებლად. 1-ელი წინადადების დარღვევით გაცემული სესხი დაუყოვნებლივ უნდა იყოს დაბრუნებული, მიუხედავად საწინააღმდეგო შეთანხმებებისა.

§44 დირექტორების მოადგილეები

დირექტორებისთვის დადგენილი რეგულაციები ვრცელდება აგრეთვე დირექტორების მოადგილეებზე.

§45 პარტნიორთა უფლებები

(1) საზოგადოების საქმეებში პარტნიორთა უფლებები, მათ შორის, საქმების გაძღოლასთან დაკავშირებით, აგრეთვე ამ უფლებების განხორ-

ციელების წესი, თუ ამას არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის დებულებები, განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით.

(2) სადამფუძნებლო შეთანხმებაში სპეციალური დებულებების არარსებობისას, გამოიყენება §§46-ე-51-ებით დადგენილი წესები.

§46 პარტნიორთა კომპეტენციები

პარტნიორთა გადაწყვეტილებას განეკუთვნება:

1. წლიური ანგარიშგების დამტკიცება და მოგების განაწილება;

1a. გადაწყვეტილების მიღება საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური ანგარიშგების (სავაჭრო კოდექსის §325-ის 2a ნაწილი) გასაჯაროებისა და დირექტორების მიერ შედგენილი ანგარიშგების მოწონების თაობაზე;

1b. დირექტორების მიერ შედგენილი კონსოლიდირებული ანგარიშგების მოწონება;

2. შენატანების მოთხოვნა;

3. დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

4. წილების დაყოფა, გაერთიანება და გაუქმება;

5. დირექტორების დანიშვნა და გათავისუფლება, ასევე მათი საქმიანობის მოწონება;

6. ხელმძღვანელობის შემოწმებისა და ზედამხედველობის ზომები;

7. პროკურისტებისა და მთლიან სამეურნეო საქმიანობაზე უფლებამოსილი სავაჭრო რწმუნებულების დანიშვნა;

8. იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების წარდგენა, რომლებიც საზოგადოებას დირექტორების ან პარტნიორების მიმართ გააჩნია დაფუძნებიდან ან ხელმძღვანელობიდან გამომდინარე, აგ-

რეთვე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ სასამართლო დავებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ აწარმოებს.

§47 კენჭისყრა

(1) საზოგადოების საქმეებთან დაკავშირებით პარტნიორთა მიერ განსაზღვრული გადაწყვეტილებები მიიღება მიცემულ ხმათა უმრავლესობით.

(2) წილის თითოეული ევრო ანიჭებს ერთ ხმას.

(3) მინდობილობის ნამდვილობისთვის აუცილებელია მისი ტექსტური ფორმით[38] შედგენა.

(4) პარტნიორს, რომლის საქმიანობაც უნდა იყოს მოწონებული ან რომელიც უნდა გათავისუფლდეს ვალდებულებისგან, ამ დროს არ აქვს ხმის უფლება და მას არ შეუძლია ეს უფლება სხვების მაგივრად განახორციელოს. იგივე წესი მოქმედებს გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც ეხება პარტნიორთან გარიგების დადებას ან მის წინააღმდეგ სასამართლო დავის დაწყებას ან დასრულებას.

§48 პარტნიორთა კრება

(1) პარტნიორთა გადაწყვეტილებები მიიღება კრებებზე. კრებები შეიძლება ჩატარდეს სატელეფონო კავშირის ან ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობითაც, თუკი ყველა პარტნიორი ამაზე თანხმობას ტექსტური ფორმით განაცხადებს.

38 „ტექსტური ფორმა“ (გერმ. *Textform)* - გერმანულ სამართალში (გსსკ 126b მუხლი) ეს ფორმა განსხვავდება „წერილობითი ფორმისგან“. ეს უკანასკნელი მოითხოვს ხელმოწერას/კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას. „ტექსტური ფორმა“ გულისხმობს ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც იკითხება (მაგ. ელ-ფოსტა, ფაქსი, სმს), სადაც ავტორი იდენტიფიცირებადია, მაგრამ ხელმოწერა სავალდებულო არ არის.

(2) კრების ჩატარება აუცილებელი არ არის, თუ ყველა პარტნიორი ტექსტური ფორმით განაცხადებს თანხმობას მისაღებ გადაწყვეტილებაზე ან ხმების ტექსტური ფორმით მიცემაზე.

(3) თუ საზოგადოების ყველა წილი ერთი პარტნიორის ხელშია, ან ამასთანავე საზოგადოების ხელშია, მან გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს ოქმი და ხელი მოაწეროს მას.

§49 კრების მოწვევა

(1) პარტნიორთა კრებას იწვევენ დირექტორები.

(2) გარდა პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა, კრება უნდა იყოს მოწვეული, თუკი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე ამის აუცილებლობა იკვეთება.

(3) მათ შორის, კრება დაუყოვნებლივ უნდა იყოს მოწვეული, თუ წლიური ბალანსიდან ან სამეურნეო წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ საწესდებო კაპიტალის ნახევარი დაკარგულია.

§50 უმცირესობის უფლებები

(1) პარტნიორები, რომელთა წილები ერთობლივად შეადგენს საწესდებო კაპიტალის სულ მცირე ერთ მეათედს, უფლებამოსილნი არიან, მიზნისა და საფუძვლების მითითებით, მოითხოვონ კრების მოწვევა.

(2) ამავე წესით, პარტნიორებს უფლება აქვთ, მოითხოვონ იმ საკითხების გამოცხადება, რომლებზეც კრებამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

(3) თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ან თუ არ არსებობენ პირები, რომელთა მიმართაც ეს მოთხოვნა უნდა განხორციელებულიყო, 1-ელ პუნქტში აღნიშნულ პარტნიორებს შეუძლიათ, ფაქტობრივი გარემოებების მითითებით, თავად უზრუნველყონ მოწვევა ან გამოცხადება. კრება იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, უნდა გაიღოს თუ არა წარმოშობილი ხარჯები საზოგადოებამ.

§51 მოწვევის ფორმა

(1) კრების მოწვევა ხორციელდება პარტნიორებისთვის რეგისტრირებული წერილის გაგზავნის გზით. მოწვევა უნდა განხორციელდეს სულ მცირე ერთკვირიანი ვადის დაცვით.

(2) მოწვევისას ყოველთვის უნდა მიეთითოს კრების მიზანი.

(3) თუ კრება არ არის მოწვეული წესის დაცვით, გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ყველა პარტნიორი ესწრება.

(4) იგივე წესი მოქმედებს იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებიც კრებამდე სულ მცირე სამი დღით ადრე არ იყო გამოცხადებული მოწვევისთვის დადგენილი წესით.

§51a ინფორმაციის მიღებისა და გაცნობის უფლება

(1) დირექტორებმა თითოეულ პარტნიორს, მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოების საქმეებთან დაკავშირებით და მისცენ საზოგადოების წიგნებისა და საბუთების გაცნობის უფლება.

(2) დირექტორებს უფლება აქვთ, უარი განაცხადონ ინფორმაციის გაცემასა და გაცნობაზე, თუ არსებობს ვარაუდი, რომ პარტნიორი მას გამოიყენებს საზოგადოების ინტერესებთან შეუსაბამო მიზნებისთვის და ამით საზოგადოებას ან მასთან დაკავშირებულ საწარმოს მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს. უარის თქმისათვის საჭიროა პარტნიორთა გადაწყვეტილება.

(3) სადამფუძნებლო შეთანხმებით ამ დებულებებიდან გადახვევა დაუშვებელია.

§51b სასამართლო გადაწყვეტილება ინფორმაციის მიღებისა და გაცნობის უფლების თაობაზე

ინფორმაციის მიღებისა და გაცნობის უფლების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას შესაბამისად გამოიყენება სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის §132-ის 1-ელი, მე-3 და მე-4 პუნქტები. განცხადების შეტანის უფლება აქვს ნებისმიერ პარტნიორს, რომელსაც არ მიეცა მოთხოვნილი ინფორმაცია ან ნება არ დაერთო, გაცნობოდა მას.

§52 სამეთვალყურეო საბჭო

(1) თუ სადამფუძნებლო შეთანხმების მიხედვით უნდა დაინიშნოს სამეთვალყურეო საბჭო, შესაბამისად გამოიყენება სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის §90-ის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტის 1-ელი და მე-2 წინადადებები, §95-ის 1-ელი წინადადება, §100-ის 1-ელი პუნქტი და მე-2 პუნქტის №2, ასევე მე-5 პუნქტი, §101-ის 1-ელი პუნქტის 1-ელი წინადადება, §103-ის 1-ელი პუნქტის 1-ელი და მე-2 წინადადებები, §105, §107-ის მე-3 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებები და მე-4 პუნქტი, §§110-114, §116 სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის §93-ის 1-ელი და მე-2 პუნქტის 1-ელ და მე-2 წინადადებებთან კავშირში, §124-ის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადება, ასევე §§170, 171, 394 და 395, რამდენადაც სადამფუძნებლო შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

(2) თუ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა დასაქმებულთა მესამედის მონაწილეობის შესახებ კანონის[39] შესაბამისად, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორებს შორის ქალთა მონაწილეობის სამიზნე მაჩვენებლებს განსაზღვრავს პარტნიორთა კრება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მან ეს უფლებამოსილება სამეთვალყუ-

39 ნაგულისხმევია *Gesetz über die Drittelbeteiligung der Arbeitnehmer im Aufsichtsrat,* შემოკლებით - *Drittelbeteiligungsgesetz (DrittelbG).*

რეო საბჭოს გადასცა. თუ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა მმართველობაში თანამონაწილეობის შესახებ კანონით[40], სამთო და მეტალურგიული მრეწველობის მმართველობაში თანამონაწილეობის შესახებ კანონით[41] ან სამთო და მეტალურგიული მრეწველობის მმართველობაში თანამონაწილეობის შესახებ კანონში დამატებების შეტანის შესახებ კანონის[42] შესაბამისად, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორებს შორის ქალთა მონაწილეობის ხვედრითი წილის სამიზნე მაჩვენებლებს ადგენს თავად სამეთვალყურეო საბჭო. სამიზნე მაჩვენებლებმა უნდა მიუთითოს ქალთა მონაწილეობის სასურველი ხვედრითი წილი შესაბამის ორგანოში და, პროცენტებში მითითებისას, უნდა შეესაბამებოდეს პირთა ოდენობის მთელ რიცხვობრივ მაჩვენებელს. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა ან დირექტორებს შორის სამიზნე მაჩვენებლად განისაზღვრება ნული, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათლად და გასაგებად დასაბუთებული. დასაბუთებაში ვრცლად უნდა გადმოიცეს ის მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს გადაწყვეტილებას. თუ სამიზნე მაჩვენებლების დადგენისას ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი 30%-ზე ნაკლებია, ახალი სამიზნე მაჩვენებლები არ უნდა იყოს უკვე მიღწეულ მაჩვენებელზე ნაკლები. ამავდროულად, უნდა განისაზღვროს სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ვადები. თითოეული ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს.

(3) თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დაინიშნენ საზოგადოების სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციამდე, შესაბამისად გამოიყენება სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის §37-ის მე-4 პუნქტის №3 და 3a. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილებისას, დირექტორებმა სავაჭრო რეესტრში დაუყოვნებლივ უნდა წა-

40 ნაგულისხმევია *Gesetz über die Mitbestimmung der Arbeitnehmer,* შემოკლებით - *Mitbestimmungsgesetz (MitbestG).*

41 ნაგულისხმევია *Gesetz über die Mitbestimmung der Arbeitnehmer in den Aufsichtsräten und Vorständen der Unternehmen des Bergbaus und der Eisen und Stahl erzeugenden Industrie (MontanMitbestG).*

42 ნაგულისხმევია *Gesetz zur Ergänzung des Gesetzes über die Mitbestimmung der Arbeitnehmer in den Aufsichtsräten und Vorständen der Unternehmen des Bergbaus und der Eisen und Stahl erzeugenden Industrie (MontanMitbestGErgG).*

რადგინონ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სია, რომელშიც მითითებულია წევრების გვარი, სახელი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი; სასამართლომ სავაჭრო კოდექსის §10-ის შესაბამისად უნდა გამოაქვეყნოს ცნობა იმის თაობაზე, რომ სია სავაჭრო რეესტრშია წარდგენილი.

(4) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ მათ მიერ ვალდებულებების დარღვევის გამო ხანდაზმული ხდება ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

ნაწილი 4. ცვლილებები სადამფუძნებლო შეთანხმებაში

§53 წესდების[43] ცვლილების ფორმა

(1) სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

(2) გადაწყვეტილებისათვის საჭიროა მიცემულ ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობა. სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს სხვა მოთხოვნებიც.

(3) გადაწყვეტილება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს. თუ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღება, შესაბამისად გამოიყენება §2-ის მე-3 პუნქტის 1-ელი, მე-3 და მე-4 წინადადებები.

43 გერმანულ სამართალში ტერმინები „წესდება“ *(Satzung)* და „სადამფუძნებლო შეთანხმება“ *(Gesellschaftsvertrag)* შპს-სთან მიმართებით ხშირად სინონიმად გამოიყენება. ამ მუხლის სათაურში გამოყენებულია ტერმინი *„Satzung“,* მუხლის ტექსტში - *Gesellschaftsvertrag* (სადამფუძნებლო შეთანხმება). წინამდებარე თარგმანში ყველგან შენარჩუნებულია ეს ტერმინოლოგიური განსხვავება, თუმცა, შინაარსობრივად, ეს ორი ტერმინი მკითხველმა როგორც სინონიმები ისე უნდა აღიქვას.

(4) პარტნიორებისთვის დაკისრებული ვალდებულებების გაზრდა სადამფუძნებლო შეთანხმებით შესაძლებელია მხოლოდ ყველა იმ პარტნიორის თანხმობით, რომლებსაც ეს ეხება.

§54 წესდების ცვლილების განცხადება და სარეგისტრაციოდ წარდგენა

(1) სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილების შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს სავაჭრო რეესტრს სარეგისტრაციოდ. განცხადებას თან უნდა დაერთოს სადამფუძნებლო შეთანხმების სრული ტექსტი; იგი უნდა შეიცავდეს ნოტარიუსის დამოწმებას იმის თაობაზე, რომ სადამფუძნებლო შეთანხმების შეცვლილი დებულებები შეესაბამება სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას, ხოლო უცვლელი დებულებები ემთხვევა სავაჭრო რეესტრში ბოლოს წარდგენილ სადამფუძნებლო შეთანხმების სრულ ტექსტს.

(2) რეგისტრაციისას საკმარისია, თუ ცვლილება არ ეხება §10-ში აღნიშნულ მონაცემებს, ცვლილებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე მითითება.

(3) ცვლილება სამართლებრივ ძალას არ იძენს, სანამ ის არ დარეგისტრირდება საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით სავაჭრო რეესტრში.

§55 საწესდებო კაპიტალის გაზრდა

(1) თუ გადაწყდება საწესდებო კაპიტალის გაზრდა, გაზრდილ კაპიტალში თითოეული წილის მისაღებად აუცილებელია მიმღების სანოტარო წესით შედგენილი ან დამოწმებული განცხადება. განცხადების სანოტარო წესით შედგენა ან დამოწმება შეიძლება ასევე განხორციელდეს ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით, სანოტარო დამოწმების შესახებ კანონის §§16a-16e და 40a-ების შესაბამისად.

(2) წილის მიღების უფლება საზოგადოებამ შეიძლება მისცეს არსებულ პარტნიორებს ან სხვა პირებს, რომლებიც წილის მიღებით საზოგადოებაში გაწევრების ნებას გამოხატავენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, წილის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად, 1-ელ პუნქტში აღნიშნულ მოწმობაში ასახული უნდა იყოს სხვა ვალდებულებებიც, რაც გაწევრებულ პირს სადამფუძნებლო შეთანხმების მიხედვით უნდა დაეკისროს.

(3) თუ გაზრდილ კაპიტალში წილს იღებს საზოგადოების უკვე არსებული პარტნიორი, იგი იძენს დამატებით წილს.

(4) §5-ის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები წილების ნომინალური ღირებულებების შესახებ, §19-ის მე-6 პუნქტის დებულებები შენატანების განხორციელების მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ, გამოიყენება გაზრდილ კაპიტალში მიღებულ წილებთან მიმართებითაც.

§55a ნებადართული კაპიტალი

(1) სადამფუძნებლო შეთანხმებით შესაძლოა დირექტორებს მიენიჭოს უფლებამოსილება, საზოგადოების რეგისტრაციიდან არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში გაზარდონ საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულ ნომინალურ ოდენობამდე (ნებადართული კაპიტალი) შენატანების სანაცვლოდ ახალი წილების გამოშვების გზით. ნებადართული კაპიტალის ნომინალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს უფლებამოსილების მინიჭების მომენტისთვის არსებული საწესდებო კაპიტალის ნახევარს.

(2) უფლებამოსილების მინიჭება ასევე შესაძლებელია სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილების გზით, ამ ცვლილების რეგისტრაციიდან არაუმეტეს ხუთი წლის ვადით.

(3) არაფულადი შენატანების (§56) სანაცვლოდ წილების გამოშვება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილება ამას ითვალისწინებს.

§56 კაპიტალის გაზრდა არაფულადი შენატანებით

(1) თუ განხორციელდება არაფულადი შენატანები, მათი საგანი და იმ წილის ნომინალური ღირებულება, რომელსაც არაფულადი შენატანი შეეხება, საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა განისაზღვროს. განსაზღვრული მონაცემები შეტანილი უნდა იყოს მიმღების §55-ის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაში.

(2) შესაბამისად გამოიყენება §§9, 19-ის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება და მე-4 პუნქტი.

§56a შენატანების განხორციელება ახალ საწესდებო კაპიტალში

ახალ საწესდებო კაპიტალში შენატანების განხორციელების მიმართ შესაბამისად გამოიყენება §7-ის მე-2 პუნქტის 1-ელი წინადადება და მე-3 პუნქტი, ასევე §19-ის მე-5 პუნქტი.

§57 გაზრდის რეგისტრაცია

(1) საწესდებო კაპიტალის გადაწყვეტილი ზრდის შესახებ განცხადება სავაჭრო რეესტრს სარეგისტრაციოდ უნდა წარედგინოს მას შემდეგ, რაც გაზრდილი კაპიტალი წილების მიღების გზით შეივსება.

(2) სარეგისტრაციო განცხადებაში უნდა დადასტურდეს, რომ შენატანები ახალ საწესდებო კაპიტალზე განხორციელებულია §7-ის მე-2 პუნქტის 1-ელი წინადადებისა და მე-3 პუნქტის შესაბამისად, და რომ შენატანის საგანი საბოლოოდ დირექტორების თავისუფალ განკარგვაშია. შესაბამისად გამოიყენება §8-ის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.

(3) სარეგისტრაციო განცხადებას თან უნდა დაერთოს:

1. §55-ის 1-ელ პუნქტში აღნიშნული განცხადებები ან მათი დამოწმებული ასლი;

2. განმცხადებელთა მიერ ხელმოწერილი ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით შესრულებული იმ პირთა სია, რომლებმაც ახალი წილები მიიღეს; სიაში ჩანდეს თითოეულის მიერ მიღებული წილების ნომინალური ღირებულებები;

3. არაფულადი შენატანებით კაპიტალის გაზრდისას - ის ხელშეკრულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს §56-ის მიხედვით განსაზღვრულ მონაცემებს ან დაიდო მათი შესრულების მიზნით.

(4) იმ დირექტორების პასუხისმგებლობის მიმართ, რომლებმაც კაპიტალის გაზრდა სავაჭრო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარადგინეს, შესაბამისად გამოიყენება §9a-ის 1-ელი და მე-3 პუნქტები და §9b.

§57a უარი რეგისტრაციაზე

სასამართლოს მიერ რეგისტრაციაზე უარის შემთხვევებთან მიმართებით შესაბამისად გამოიყენება §9c-ის 1-ელი პუნქტი.

§57b (გაუქმებულია)

§57c კაპიტალის გაზრდა საზოგადოების სახსრებიდან

(1) საწესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს რეზერვების საწესდებო კაპიტალად გარდაქმნის გზით (კაპიტალის გაზრდა საზოგადოების სახსრებიდან).

(2) საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც წლიური ანგარიშგება კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე გასული ბოლო სამეურნეო წლისთვის (ბოლო წლიური ანგარიშგება) დამტკიცდება და მიღებული იქნება გადაწყვეტილება მოგების განაწილების თაობაზე.

(3) საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს ბალანსი.

(4) §§53-ე-54-ებთან ერთად, სადამფუძნებლო შეთანხმების შეცვლასთან მიმართებით მოქმედებს §§57d-57o.

§57d კაპიტალის და მოგების რეზერვების ასახვა

(1) კაპიტალის და მოგების რეზერვები, რომლებიც საწესდებო კაპიტალად უნდა გარდაიქმნას, ბოლო წლიურ ბალანსში (ხოლო თუ გადაწყვეტილებას სხვა ბალანსი უდევს საფუძვლად — ამ ბალანსშიც) ასახული უნდა იყოს „კაპიტალის რეზერვის“ ან „მოგების რეზერვების“ მუხლებში, ან წლიური მოგების განკარგვის შესახებ ბოლო გადაწყვეტილებაში — როგორც ამ რეზერვებში მიმართული თანხა.

(2) რეზერვები ვერ გარდაიქმნება, თუ საფუძვლად დადებულ ბალანსში ზარალი, მათ შორის, გადმოყოლილი ზარალი, არის ასახული.

(3) სხვა მოგების რეზერვები, რომლებიც განსაზღვრულია კონკრეტული მიზნისთვის, შეიძლება გარდაიქმნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს თავსებადია მათ მიზნობრიობასთან.

§57e ბოლო წლიური ბალანსის საფუძვლად გამოყენება; შემოწმება

(1) გადაწყვეტილებას შეიძლება საფუძვლად დაედოს ბოლო წლიური ბალანსი, თუ ეს ბალანსი შემოწმებულია, ხოლო დამტკიცებულ წლიურ ბალანსზე გაცემულია აუდიტორების უპირობო დასკვნა, და თუ ბალანსის საანგარიშგებო თარიღიდან სავაჭრო რეესტრში გადაწყვეტილების რეგისტრაციისთვის წარდგენამდე გასული არ არის რვა თვეზე მეტი.

(2) იმ საზოგადოებების შემთხვევაში, რომლებიც სავაჭრო კოდექსის §267-ის მე-3 ნაწილის შესაბამისად არ მიეკუთვნებიან მსხვილ საწარმოებს, შემოწმება შეიძლება განახორციელონ ასევე ფიცდადებულმა

აუდიტორებმა;[44] აუდიტორები არჩეული უნდა იყვნენ პარტნიორთა კრების მიერ.

§57f მოთხოვნები ბალანსის მიმართ

(1) თუ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ დაედება ბოლო წლიური ბალანსი, მაშინ ბალანსი წლიური ბალანსის სტრუქტურისა და წლიურ ბალანსში შეფასების ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს. ბალანსის საანგარიშგებო თარიღიდან სავაჭრო რეესტრში გადაწყვეტილების რეგისტრაციისთვის წარდგენამდე არ უნდა იყოს გასული რვა თვეზე მეტი.

(2) ბალანსი, საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, უნდა შემოწმდეს ერთი ან რამდენიმე აუდიტორის მიერ იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა იგი 1-ელ პუნქტს. თუ შემოწმების საბოლოო შედეგების მიხედვით შენიშვნები არ არსებობს, აუდიტორებმა ეს აღნიშვნით უნდა დაადასტურონ. საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება აუდიტორების ამ დადასტურების გარეშე ვერ მიიღება.

(3) აუდიტორები პარტნიორების მიერ აირჩევიან; თუ სხვა აუდიტორები არ იქნებიან არჩეული, არჩეულად ითვლებიან ის აუდიტორები, რომლებიც ბოლო წლიური ანგარიშგების შემოწმებისთვის პარტნიორებმა აირჩიეს ან სასამართლომ დანიშნა. სხვა მხრივ, რამდენადაც შემოწმების დავალების თავისებურებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, სავაჭრო კოდექსის §318-ის 1-ელი ნაწილის მე-2 წინადადება, §319-ის 1-ელი-მე-4 ნაწილები, §319b-ის 1-ელი ნაწილი, §320-ის 1-ელი ნაწილის მე-2 წინადადება და მე-2 პუნქტი, §§321 და 323, ხოლო იმ საზოგადოებების შემთხვევაში, რომლებიც სავაჭრო კოდექსის §316a-ის მე-2 წინადადების მიხედვით საჯარო ინტერესის მქონე საწარმოებს წარმოადგე-

44 ფიცდადებული აუდიტორი (Vereidigte Buchprüfer) - აუდიტორი, რომლის უფლებამოსილებაც შემოიფარგლება მხოლოდ საშუალო ზომის შპს-ების შემოწმებით და არ ვრცელდება მსხვილ კორპორაციებსა და სააქციო საზოგადოებებზე (განსხვავებით სრულუფლებიანი აუდიტორისგან - Wirtschaftsprüfer).

ნენ - ასევე ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის (EU) №537/2014 რეგულაციის („საჯარო ინტერესის მქონე საწარმოებში სავალდებულო აუდიტორული შემოწმების მიმართ სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ და კომისიის 2005/909/EC გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე“, ABl. L 158, 27.5.2014, გვ. 77; L 170, 11.6.2014, გვ. 66)[45] მე-5 მუხლი უნდა იყოს გამოყენებული. იმ საზოგადოებების შემთხვევაში, რომლებიც სავაჭრო კოდექსის §267-ის მე-3 ნაწილის შესაბამისად არ მიეკუთვნებიან მსხვილ საწარმოებს, აუდიტორებად შეიძლება ფიცდადებული აუდიტორებიც დაინიშნონ.

§57g წლიური ანგარიშგების წინასწარი გაცნობა

სადამფუძნებლო შეთანხმების დებულებები პარტნიორებისთვის წლიური ანგარიშგების წინასწარი გაცნობის შესახებ, §57f-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისად გამოიყენება.

§57h კაპიტალის გაზრდის სახეები

(1) კაპიტალის გაზრდა შეიძლება, §57l-ის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, განხორციელდეს ახალი წილების შექმნის ან წილების ნომინალური ღირებულების გაზრდის გზით. ახალი წილები და წილები, რომელთა ნომინალური ღირებულებაც იზრდება, ისეთ თანხად უნდა განისაზღვროს, რომელიც ევროს მთელ რიცხვს შეადგენს.

(2) საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებაში გაზრდის სახე უნდა მიეთითოს. თუ კაპიტალის გაზრდა წილების ნომინალური ღირებულების გაზრდის გზით უნდა განხორციელდეს, იგი ისე უნდა განისაზღვროს, რომ არცერთ წილზე, რომლის ნომინალური ღი-

45 ნაგულისხმევია Regulation (Eu) No 537/2014 Of The European Parliament And Of The Council Of 16 April 2014, On Specific Requirements Regarding Statutory Audit Of Public-Interest Entities And Repealing Commission Decision 2005/909/EC.

რებულებაც იზრდება, არ ნაწილდებოდეს ისეთი თანხები, რომლებიც წილის ნომინალური ღირებულების გაზრდით ვერ დაიფარება.

§57i გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების განცხადება და სარეგისტრაციოდ წარდგენა

(1) სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციისთვის საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების განცხადებას თან უნდა დაერთოს კაპიტალის გაზრდის საფუძვლად დადებული, აუდიტორთა დადასტურების აღნიშვნით აღჭურვილი ბალანსი, ხოლო §57f-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში — აგრეთვე ბოლო წლიური ბალანსი, თუ იგი სავაჭრო კოდექსის §325-ის 1-ელი ნაწილის თანახმად ჯერ კიდევ არ არის წარდგენილი. განმცხადებლებმა სარეგისტრაციო სასამართლოს წინაშე უნდა განაცხადონ, რომ რამდენადაც მათთვის ცნობილია, საფუძვლად დადებული ბალანსის საანგარიშგებო თარიღიდან განცხადების დღემდე ადგილი არ ჰქონდა ქონების ისეთ შემცირებას, რომელიც კაპიტალის გაზრდასთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა, თუკი იგი განცხადების დღეს იქნებოდა გადაწყვეტილი.

(2) სარეგისტრაციო სასამართლოს უფლება აქვს, გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაარეგისტრიროს, თუ კაპიტალის გაზრდის საფუძვლად დადებული ბალანსი განცხადებამდე არაუმეტეს რვა თვით ადრე არსებული დროის მომენტისთვის არის შედგენილი და 1-ელი პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისი განცხადება გაკეთებულია.

(3) სასამართლო არ არის ვალდებული, შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა ბალანსები კანონმდებლობის დებულებებს.

(4) გადაწყვეტილების რეგისტრაციისას უნდა აღინიშნოს, რომ საქმე ეხება კაპიტალის გაზრდას საზოგადოების სახსრებიდან.

§57j წილების განაწილება

ახალი წილები პარტნიორებს ეკუთვნით მათი არსებული წილების პროპორციულად. პარტნიორთა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება ბათილია.

§57k ნაწილობრივი უფლებები; უფლებების განხორციელება

(1) თუ კაპიტალის გაზრდა იმას იწვევს, რომ ერთ წილზე ახალი წილის მხოლოდ ნაწილი მოდის, ეს ნაწილობრივი უფლება დამოუკიდებლად გასხვისებადი და მემკვიდრეობით გადაცემადია.

(2) ახალი წილიდან გამომდინარე უფლებები, ახალი წილის შესახებ მოწმობის გაცემის მოთხოვნის ჩათვლით, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაწილობრივი უფლებები, რომლებიც ერთად სრულ წილს შეადგენს, ერთ პირთანაა თავმოყრილი, ან თუ რამდენიმე უფლებამოსილი პირი, რომელთა ნაწილობრივი უფლებები ერთად სრულ წილს შეადგენს, უფლებების განსახორციელებლად გაერთიანდება (§18).

§57l მონაწილეობა საწესდებო კაპიტალის გაზრდაში

(1) საკუთარი წილები საწესდებო კაპიტალის გაზრდაში მონაწილეობს.

(2) წილები, რომლებზეც შენატანები ნაწილობრივადაა განხორციელებული, საწესდებო კაპიტალის გაზრდაში თავიანთი ნომინალური ღირებულების პროპორციულად მონაწილეობს. ასეთი წილების მიმართ კაპიტალის გაზრდა მხოლოდ წილების ნომინალური ღირებულების გაზრდის გზით შეიძლება განხორციელდეს. თუ იმ წილებთან ერთად, რომლებზეც ნაწილობრივადაა შენატანები განხორციელებული, ისეთი წილებიც არსებობს, რომლებზეც სრულადაა შენატანები განხორციელებული, ამ უკანასკნელთა მიმართ კაპიტალის გაზრდა შეიძლება განხორციელდეს როგორც წილების ნომინალური ღირებულების გაზრდის,

ისე ახალი წილების გამოშვების გზით. წილები, რომელთა ნომინალური ღირებულებაც იზრდება, შეიძლება ნებისმიერი თანხით განისაზღვროს, რომელიც ევროს მთელ რიცხვს შეადგენს.

§57m უფლებების ურთიერთმიმართება; ურთიერთობები მესამე პირებთან

(1) წილებთან დაკავშირებული უფლებების ურთიერთმიმართება კაპიტალის გაზრდით არ იცვლება.

(2) თუ ნაწილობრივ შეტანილი წილების ცალკეული უფლებები, მათ შორის, მოგებაში მონაწილეობა ან ხმის უფლება, თითოეულ წილზე განხორციელებული შენატანის მიხედვით განისაზღვრება, ეს უფლებები პარტნიორებს ჯერ კიდევ განსახორციელებელი შენატანების განხორციელებამდე მხოლოდ განხორციელებული შენატანის ოდენობის მიხედვით ეკუთვნის, გაზრდილი საწესდებო კაპიტალის ნომინალურ ოდენობაზე გაანგარიშებული საწესდებო კაპიტალის გაზრდის პროცენტული მაჩვენებლით. თუ შემდგომი შენატანები განხორციელდება, ეს უფლებები შესაბამისად გაფართოვდება.

(3) საზოგადოების სახელშეკრულებო ურთიერთობების ეკონომიკური შინაარსი მესამე პირებთან, რომლებიც საზოგადოების მოგების გაცემაზე, მისი წილების ან საწესდებო კაპიტალის ნომინალურ ოდენობაზე ან ღირებულებაზე, ან სხვაგვარად არსებულ კაპიტალის ან მოგების ურთიერთმიმართებაზე არიან დამოკიდებულნი, კაპიტალის გაზრდით არ იცვლება.

§57n ახალი წილების მონაწილეობა მოგებაში

(1) თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ახალი წილები მონაწილეობენ მთელი იმ სამეურნეო წლის მოგებაში, რომელშიც გადაწყდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა.

(2) საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს, რომ ახალი წილები უკვე მონაწილეობენ იმ ბოლო სამეურნეო წლის მოგებაში, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღებამდე გავიდა. ასეთ შემთხვევაში, §57c-ის მე-2 პუნქტისგან განსხვავებით, საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს, სანამ მიიღება გადაწყვეტილება მის მიღებამდე გასული ბოლო სამეურნეო წლის მოგების განკარგვის თაობაზე. აღნიშნული მოგების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში მხოლოდ მაშინ შედის, როდესაც საწესდებო კაპიტალი გაიზარდება. საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და მის მიღებამდე გასული ბოლო სამეურნეო წლის მოგების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებები ბათილია, თუ კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებიდან სამი თვის განმავლობაში სავაჭრო რეესტრში არ დარეგისტრირდა; ვადის დენა შეჩერებულია, სანამ შეცილების ან ბათილობის შესახებ სარჩელი წარმოებაშია.

§57o თვითღირებულება[46]

საწესდებო კაპიტალის გაზრდამდე შეძენილი წილებისა და მათზე კუთვნილი ახალი წილების თვითღირებულებად მიიჩნევა ის თანხები, რომლებიც თითოეული წილისთვის დადგინდება, თუ საწესდებო კაპიტალის გაზრდამდე შეძენილი წილების თვითღირებულება განაწილდება ამ წილებსა და მათზე კუთვნილ ახალ წილებზე, მათი ნომინალური ღირებულებების პროპორციულად. წილების ნამატი არ უნდა იყოს ასახული, როგორც აქტივების მატება.

46 ტერმინ „თვითღირებულების“ მიმართებით: „*Anschaffungskosten*“ - გერმანული ტერმინი სიტყვასიტყვით ნიშნავს „შეძენის ღირებულებას“ (შეძენის დანახარჯებს). წინამდებარე ტექსტში გამოყენებულია ტერმინი „თვითღირებულება“, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოში მოქმედ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან. ნაგულისხმევია წილის ისტორიული ღირებულება, რომლითაც ის ბალანსშია აღრიცხული და რომელიც კაპიტალის გაზრდისას ძველ და ახალ წილებზე უნდა გადანაწილდეს.

§58 საწესდებო კაპიტალის შემცირება

(1) საწესდებო კაპიტალის შემცირება მხოლოდ ქვემორე დებულებების დაცვით შეიძლება განხორციელდეს:

1. საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება დირექტორების მიერ საზოგადოების ბეჭდვით ორგანოებში უნდა გამოქვეყნდეს; გამოქვეყნებით ამავდროულად საზოგადოების კრედიტორებს უნდა მოეთხოვოთ, საზოგადოებას მიმართონ; საზოგადოების სავაჭრო წიგნებში ასახულ ან სხვაგვარად ცნობილ კრედიტორებს სპეციალური შეტყობინებით უნდა მოეთხოვოთ განცხადების წარდგენა;

2. კრედიტორები, რომლებიც საზოგადოებას მიმართავენ და შემცირებას არ დაეთანხმებიან, წამოყენებული მოთხოვნების გამო უნდა დაკმაყოფილდნენ ან მათ უნდა მიეცეთ უზრუნველყოფა;

3. შემცირების შესახებ გადაწყვეტილების სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციისთვის წარდგენა არ ხდება იმ დღიდან, როცა საზოგადოების ბეჭდვით ორგანოებში კრედიტორთა მიმართ მოწოდება გამოქვეყნდა, ერთი წლის გასვლამდე;

4. განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იყოს გამოქვეყნებული გადაწყვეტილება; ამავდროულად დირექტორებმა უნდა გასცენ დასტური, რომ კრედიტორები, რომლებმაც საზოგადოებას მიმართეს და შემცირებას არ დაეთანხმნენ, დაკმაყოფილებული ან უზრუნველყოფილი არიან.

(2) §5-ის 1-ელი პუნქტის დებულება საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესახებ უცვლელი რჩება. თუ შემცირება შენატანების უკან დაბრუნების მიზნით ან განსახორციელებელი შენატანების პატიების მიზნით ხორციელდება, წილების დარჩენილი ნომინალური ღირებულებები §5-ის მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნულ თანხაზე ნაკლები არ უნდა გახდეს.

§58a კაპიტალის გამარტივებული შემცირება

(1) საწესდებო კაპიტალის შემცირება, რომელიც ღირებულების შემცირების გათანაბრებას ან სხვა ზარალის დაფარვას უნდა ემსახურებოდეს, შეიძლება განხორციელდეს, როგორც კაპიტალის გამარტივებული შემცირება.

(2) კაპიტალის გამარტივებული შემცირება დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკაპიტალო და მოგების რეზერვების ის ნაწილი, რომელიც, ერთად აღებული, შემცირების შემდეგ დარჩენილი საწესდებო კაპიტალის 10%-ს აღემატება, წინასწარ გაუქმდება. მისი განხორციელება დაუშვებელია, სანამ წინა წლის გაუნაწილებელი მოგება არსებობს.

(3) კაპიტალის გამარტივებული შემცირების შესახებ გადაწყვეტილებაში წილების ნომინალური ღირებულებები შემცირებულ საწესდებო კაპიტალს უნდა მიესადაგოს. წილები უნდა განისაზღვროს ისეთი თანხით, რომელიც ევროს მთელ რიცხვს შეადგენს.

(4) საწესდებო კაპიტალი §5-ის 1-ელი პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ნომინალურ ოდენობაზე ქვემოთ შეიძლება შემცირდეს, თუკი ეს ოდენობა კვლავ მიიღწევა კაპიტალის იმ გაზრდით, რომელიც კაპიტალის შემცირებასთან ერთად არის გადაწყვეტილი და რომლის დროსაც არაფულადი შენატანები არ არის დადგენილი. გადაწყვეტილებები ბათილია, თუ ისინი გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში სავაჭრო რეესტრში არ იქნა რეგისტრირებული. ვადის დენა შეჩერებულია, სანამ შეცილების ან ბათილობის შესახებ სარჩელი წარმოებაშია. გადაწყვეტილებები სავაჭრო რეესტრში მხოლოდ ერთობლივად უნდა დარეგისტრირდეს.

(5) სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილების შესახებ §§53 და 54-ის გარდა, მოქმედებს §§58b-58f.

§58b თანხები რეზერვების გაუქმებისა და კაპიტალის შემცირებისგან

(1) თანხები, რომლებიც საკაპიტალო ან მოგების რეზერვების გაუქმებიდან და კაპიტალის შემცირებიდან მიიღება, მხოლოდ იმისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული, რომ ღირებულების შემცირება გათანაბრდეს და სხვა ზარალი დაიფაროს.

(2) ამას გარდა, მიღებული თანხები საკაპიტალო რეზერვში შეიძლება იყოს მიმართული, რამდენადაც ეს უკანასკნელი საწესდებო კაპიტალის 10%-ს არ აღემატება. ამასთან, საწესდებო კაპიტალად ითვლება ნომინალური ღირებულება, რომელიც შემცირების შედეგად მიიღება, მაგრამ სულ მცირე - §5-ის 1-ელი პუნქტის თანახმად დასაშვები მინიმალური ნომინალური თანხა.

(3) თანხა, რომელიც მე-2 პუნქტის საფუძველზე საკაპიტალო რეზერვში იქნა მიმართული, კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაწყებული მეხუთე სამეურნეო წლის გასვლამდე მხოლოდ შემდეგისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული:

1. წლიური ზარალის გასათანაბრებლად, რამდენადაც იგი წინა წლის გადმოტანილი მოგებით არ იფარება და მოგების რეზერვების გაუქმებით ვერ გათანაბრდება;

2. წინა წლის გადმოტანილი ზარალის გასათანაბრებლად, რამდენადაც იგი წლიური მოგებით არ იფარება და მოგების რეზერვების გაუქმებით ვერ გათანაბრდება;

3. საზოგადოების სახსრებიდან კაპიტალის გასაზრდელად.

§58c ნავარაუდები ზარალის დადგომის არარსებობა

თუ იმ სამეურნეო წლის წლიური ბალანსის, რომელშიც კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, შედგენისას, ან მომდევნო ორი სამეურნეო წლიდან რომელიმეში გამოვლინდება, რომ ღირებულების შემცირება და სხვა ზარალი გადაწყვეტილების მიღები-

სას ნავარაუდები ოდენობით ფაქტობრივად არ დამდგარა ან გათანაბრებული იყო, მაშინ სხვაობის თანხა საკაპიტალო რეზერვში უნდა იყოს მიმართული. 1-ელი წინადადების მიხედვით საკაპიტალო რეზერვში მიმართული თანხისთვის §58b-ის მე-3 პუნქტი შესაბამისად მოქმედებს.

§58d მოგების გაცემა

(1) მოგება კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მეხუთე სამეურნეო წლის გასვლამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიცეს, თუ საკაპიტალო და მოგების რეზერვები ერთობლივად საწესდებო კაპიტალის 10%-ს აღწევს. ამასთან, საწესდებო კაპიტალად ითვლება ნომინალური თანხა, რომელიც შემცირების შედეგად მიიღება, მაგრამ სულ მცირე - §5-ის 1-ელი პუნქტის თანახმად დასაშვები მინიმალური ნომინალური თანხა.

(2) 4%-ზე მეტი მოგების წილის გადახდა მხოლოდ იმ სამეურნეო წლისთვის არის დასაშვები, რომელიც კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ორი წლის შემდეგ იწყება. ეს წესი არ მოქმედებს, თუ კრედიტორები, რომელთა მოთხოვნებიც გადაწყვეტილების რეგისტრაციის გამოქვეყნებამდე იყო წარმოშობილი, დაკმაყოფილებული ან უზრუნველყოფილი არიან, რამდენადაც მათ ამ მიზნით საზოგადოებას იმ წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებიდან ექვსი თვის განმავლობაში მიმართეს, რომლის საფუძველზეც მოგების განაწილება იქნა გადაწყვეტილი. იმ კრედიტორთა უზრუნველყოფა არ არის საჭირო, რომლებსაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას აქვთ უპირატესი დაკმაყოფილების უფლება უზრუნველყოფის ქონებიდან, რომელიც კანონმდებლობის დებულებათა თანახმად მათ დასაცავად არის შექმნილი და სახელმწიფო ზედამხედველობას ექვემდებარება. კრედიტორებს დაკმაყოფილების ან უზრუნველყოფის თაობაზე უნდა ეცნობოთ ცალკე განცხადებით, რომელიც საწარმოთა რეესტრის მწარმოებელ ორგანოს წლიურ ანგარიშგებასთან ერთად ელექტრონულად უნდა გადაეცეს საწარმოთა რეესტრში განთავსებისთვის.

§58e გადაწყვეტილება კაპიტალის შემცირების შესახებ

(1) კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ბოლო დასრულებული სამეურნეო წლის წლიურ ანგარიშგებაში საწესდებო კაპიტალი, ისევე როგორც საკაპიტალო და მოგების რეზერვები, შეიძლება იმ ოდენობით აისახოს, რა ოდენობითაც ის კაპიტალის შემცირების შემდეგ უნდა არსებობდეს. ეს წესი არ მოქმედებს, თუ წლიური ანგარიშგება პარტნიორთა გადაწყვეტილებისგან განსხვავებული წესით მტკიცდება.

(2) წლიური ანგარიშგების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად უნდა იყოს მიღებული.

(3) გადაწყვეტილებები ბათილია, თუ კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება მისი მიღებიდან სამი თვის განმავლობაში სავაჭრო რეესტრში არ იქნა რეგისტრირებული. ვადის დენა შეჩერებულია, სანამ შეცილების ან ბათილობის შესახებ სარჩელი წარმოებაშია.

(4) წლიური ანგარიშგება სავაჭრო კოდექსის §325-ის თანახმად მხოლოდ კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაციის შემდეგ შეიძლება გამოქვეყნდეს.

§58f კაპიტალის შემცირება საწესდებო კაპიტალის თანადროული გაზრდისას

(1) თუ §58e-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში კაპიტალის შემცირებასთან ერთად გადაწყდება საწესდებო კაპიტალის გაზრდაც, წლიურ ანგარიშგებაში ეს გაზრდაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს როგორც უკვე განხორციელებული. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ ახალი წილები უკვე მიღებულია, არაფულადი შენატანები არ არის დადგენილი და თითოეულ ახალ წილზე განხორციელებულია შენატანი, რომელიც §56a-ის თანახმად, კაპიტალის გაზრდის რეგისტრაციისთვის წარდგენის დროისთვის უნდა იყოს განხორციელებული. წილების მიღება და შენატანის განხორციე-

ლება უნდა დაუდასტურდეს ნოტარიუსს, რომელიც საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას დაამოწმებს.

(2) ყველა გადაწყვეტილება ბათილია, თუ კაპიტალის შემცირებისა და კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან სამი თვის განმავლობაში სავაჭრო რეესტრში არ იქნა რეგისტრირებული. ვადის დენა შეჩერებულია, ვიდრე შეცილების ან ბათილობის შესახებ სარჩელი წარმოებაშია. გადაწყვეტილებები სავაჭრო რეესტრში მხოლოდ ერთობლივად უნდა დარეგისტრირდეს.

(3) წლიური ანგარიშგება სავაჭრო კოდექსის §325-ის თანახმად მხოლოდ იმის შემდეგ შეიძლება გამოქვეყნდეს, რაც კაპიტალის შემცირებისა და კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებები დარეგისტრირდება.

§59 (გაუქმებულია)

ნაწილი 5. საზოგადოების დაშლა და ბათილობა

§60 დაშლის საფუძვლები

(1) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება იშლება:

1. სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული ვადის გასვლით;

2. პარტნიორთა გადაწყვეტილებით; აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად, თუ სადამფუძნებლო შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, საჭიროა მიცემულ ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობა;

3. სასამართლო გადაწყვეტილებით ან ადმინისტრაციული სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, §§61 და 62-ებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

4. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებით; თუ წარმოება მოვალის განცხადების საფუძველზე შეწყდება ან გაუქმდება გადახდისუუნარობის გეგმის დამტკიცების შემდეგ, რომელიც საზოგადოების არსებობის გაგრძელებას ითვალისწინებს, მაშინ პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საზოგადოების საქმიანობის გაგრძელების თაობაზე;

5. იმ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით, რომლითაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებაზე უარი ითქვა ქონების არარსებობის გამო;

6. სარეგისტრაციო სასამართლოს განკარგულების კანონიერ ძალაში შესვლით, რომლითაც საოჯახო საქმეებისა და ნებაყოფლობითი განსჯადობის საქმეების წარმოების შესახებ კანონის §399-ის თანახმად დადგინდა სადამფუძნებლო შეთანხმების ხარვეზი;

7. საოჯახო საქმეებისა და ნებაყოფლობითი განსჯადობის საქმეების წარმოების შესახებ კანონის §394-ის თანახმად უქონლობის გამო საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებით.

(2) სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება დაშლის სხვა საფუძვლები განისაზღვროს.

§61 დაშლა სასამართლო გადაწყვეტილებით

(1) საზოგადოება შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებით დაიშალოს, თუ საზოგადოების მიზნის მიღწევა შეუძლებელი ხდება, ან თუ არსებობს დაშლის სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლები, რომლებიც საზოგადოების მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

(2) დაშლის შესახებ სარჩელი საზოგადოების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. მისი აღძვრა შეუძლიათ მხოლოდ იმ პარტნიორებს, რომელთა წილებიც ერთად საწესდებო კაპიტალის სულ მცირე მეათედს შეადგენს.

(3) სარჩელი განსაკუთრებული განსჯადობით ექვემდებარება იმ მიწის სასამართლოს, რომლის ოლქშიც საზოგადოებას გააჩნია იურიდიული მისამართი.

§62 დაშლა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

(1) თუ საზოგადოება საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ კეთილდღეობას იმით, რომ პარტნიორები კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებენ ან დირექტორების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს შეგნებულად უშვებენ, იგი შეიძლება დაიშალოს ისე, რომ ამის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ წარმოიშობა.

(2) წარმოება და ორგანოების კომპეტენცია განისაზღვრება სადავო ადმინისტრაციული საქმეებისთვის დადგენილი ნორმებით.

§63 (გაუქმებულია)

§64 (გაუქმებულია)

§65 დაშლის განცხადება და სარეგისტრაციოდ წარდგენა

(1) საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადება სავაჭრო რეესტრს სარეგისტრაციოდ უნდა წარედგინოს. ეს არ მოქმედებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების ან მისი დაწყების უარყოფისა და სასამართლოს მიერ სადამფუძნებლო შეთანხმების ხარვეზის დადგენის შემთხვევებზე. ამ შემთხვევებში სასამართლომ დაშლა და მისი საფუძველი საკუთარი ინიციატივით უნდა დაარეგისტრიროს. საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში (§60-ის 1-ელი პუნქტის №7) დაშლის რეგისტრაცია არ ხორციელდება.

(2) დაშლა ლიკვიდატორებმა საზოგადოების ბეჭდვით ორგანოებში უნდა გამოაქვეყნონ. გამოქვეყნებით ამავდროულად კრედიტორებს უნდა მოეთხოვოთ, საზოგადოებას მიმართონ.

§66 ლიკვიდატორები

(1) დაშლის შემთხვევებში, გარდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემთხვევისა, ლიკვიდაციას ახორციელებენ დირექტორები, თუ ამის უფლებამოსილება სადამფუძნებლო შეთანხმებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით სხვა პირებს არ გადაეცათ.

(2) პარტნიორთა, რომელთა წილებიც ერთად საწესდებო კაპიტალის სულ მცირე მეათედს შეადგენს, განცხადების საფუძველზე, მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას, ლიკვიდატორების დანიშვნა შეიძლება სასამართლოს მიერ განხორციელდეს.

(3) ლიკვიდატორების გათავისუფლება სასამართლოს მიერ შეიძლება იმავე წინაპირობებით მოხდეს, რაც დანიშვნა. ლიკვიდატორები, რომლებიც სასამართლოს არ დაუნიშნავს, ასევე შეიძლება პარტნიორთა გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ იმ ვადის გასვლამდე, რა ვადითაც ისინი დაინიშნენ.

(4) ლიკვიდატორების შერჩევისთვის §6-ის მე-2 პუნქტის მე-2-მე-4 წინადადებები შესაბამისად გამოიყენება.

(5) თუ საზოგადოება უქონლობის გამო რეგისტრაციის გაუქმებით დაიშალა, მაშინ ლიკვიდაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდება, თუ რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს ქონება, რომელიც განაწილებას ექვემდებარება. ლიკვიდატორები დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სასამართლომ უნდა დანიშნოს.

§67 ლიკვიდატორების სარეგისტრაციოდ წარდგენა

(1) პირველი ლიკვიდატორები, ისევე როგორც მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, სავაჭრო რეესტრში სარეგისტრაციოდ დირექ-

ტორებმა უნდა წარადგინონ, ხოლო ლიკვიდატორების ნებისმიერი ცვლილება და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნებისმიერი ცვლილება - ლიკვიდატორებმა.

(2) განაცხადს უნდა დაერთოს ლიკვიდატორების დანიშვნის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მოწმობები დედნის ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლის სახით.

(3) ლიკვიდატორებმა განაცხადში უნდა დაადასტურონ, რომ არ არსებობს გარემოებები, რომლებიც §66-ის მე-4 პუნქტის თანახმად, §6-ის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების №2 და 3-ებთან, ასევე მე-3 და მე-4 წინადადებებთან კავშირში მათ დანიშვნას ეწინააღმდეგება და რომ მათ განემარტათ სასამართლოს წინაშე მათი შეუზღუდავი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესახებ. გამოიყენება §8-ის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადება.

(4) ლიკვიდატორების სასამართლოს მიერ დანიშვნის ან გათავისუფლების რეგისტრაცია საკუთარი ინიციატივით ხორციელდება.

(5) (გაუქმებულია).

§68 ლიკვიდატორების ხელმოწერა

(1) ლიკვიდატორებმა მათი დანიშვნისას განსაზღვრული ფორმით უნდა გამოავლინონ საკუთარი ნება და საზოგადოების სახელით მოაწერონ ხელი. თუ ამის შესახებ არაფერია დადგენილი, მაშინ ნების გამოვლენა და ხელმოწერა ყველა ლიკვიდატორის მიერ ერთობლივად უნდა განხორციელდეს.

(2) როდესაც ლიკვიდატორები საზოგადოების სახელით ხელს აწერენ, საფირმო სახელწოდებას უნდა დაერთოს დამატება, რომელიც ლიკვიდაციაზე მიუთითებს.

§69 საზოგადოებისა და პარტნიორების სამართლებრივი ურთიერთობები

(1) ლიკვიდაციის დასრულებამდე, საზოგადოების დაშლის მიუხედავად, საზოგადოებისა და პარტნიორების სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ მე-2 და მე-3 ნაწილის ნორმები გამოიყენება, თუ წინამდებარე ნაწილის დებულებებიდან და ლიკვიდაციის არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

(2) საზოგადოების დაშლის დროისთვის არსებული განსჯადობა ქონების განაწილების დასრულებამდე ნარჩუნდება.

§70 ლიკვიდატორთა ამოცანები

ლიკვიდატორებმა უნდა დაასრულონ მიმდინარე საქმეები, შეასრულონ დაშლილი საზოგადოების ვალდებულებები, განახორციელონ მისი მოთხოვნები და მოახდინონ საზოგადოების ქონების ფულად ქცევა; მათ უნდა წარმოადგინონ საზოგადოება სასამართლოში და სასამართლოს გარეთ. მიმდინარე საქმეების დასასრულებლად ლიკვიდატორებს შეუძლიათ ახალი გარიგებების დადებაც.

§71 საწყისი ბალანსი; უფლებები და მოვალეობები

(1) ლიკვიდატორებმა ლიკვიდაციის დაწყებისთვის უნდა შეადგინონ ბალანსი (საწყისი ბალანსი) და საწყისი ბალანსის განმარტებითი ანგარიში, ხოლო ყოველი წლის დასასრულისთვის - წლიური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიში.

(2) პარტნიორები იღებენ გადაწყვეტილებას საწყისი ბალანსისა და წლიური ანგარიშგების დამტკიცების, ასევე ლიკვიდატორების საქმიანობის მოწონების თაობაზე. საწყისი ბალანსისა და განმარტებითი ანგარიშის მიმართ წლიური ანგარიშგების შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება. თუმცა, გრძელვადიანი აქტივების შემადგენელი ქონებრივი ობიექტები უნდა შეფასდეს, როგორც მიმდინარე აქტივები, თუ

მათი გასხვისება განჭვრეტად ვადაშია განზრახული ან ეს ქონებრივი ობიექტები სამეურნეო საქმიანობას აღარ ემსახურება; ეს ასევე მოქმედებს წლიურ ანგარიშგებაზე.

(3) სასამართლოს შეუძლია საზოგადოება გაათავისუფლოს აუდიტორის მიერ წლიური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის შემოწმებისგან, თუ საზოგადოების მდგომარეობა იმდენად ნათელია, რომ კრედიტორებისა და პარტნიორების ინტერესებიდან გამომდინარე, შემოწმების აუცილებლობა არ იკვეთება. გადაწყვეტილებაზე დასაშვებია საჩივარი.

(4) გარდა ამისა, მათ გააჩნიათ დირექტორების უფლებები და მოვალეობები, რომლებიც გამომდინარეობს §§37-41-ებიდან, აგრეთვე §43-ის 1-ელი, მე-2 და მე-4 პუნქტებიდან, §49-ის 1-ელი და მე-2 პუნქტებიდან და გადახდისუუნარობის კოდექსის[47] §15b-იდან.

(5) საქმიან წერილებზე უნდა მიეთითოს, რომ საზოგადოება ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება; გარდა ამისა, შესაბამისად მოქმედებს §35a.

§72 ქონების განაწილება

საზოგადოების ქონება პარტნიორებს შორის მათი წილების პროპორციულად ნაწილდება. სადამფუძნებლო შეთანხმებით შეიძლება განაწილების სხვა თანაფარდობა განისაზღვროს.

§73 აკრძალვის წელი

(1) განაწილება არ შეიძლება განხორციელდეს საზოგადოების ვალების დაფარვამდე ან უზრუნველყოფამდე და იმ დღიდან ერთი წლის გასვლამდე, როდესაც საზოგადოების ბეჭდვით ორგანოებში კრედიტორებისადმი მოწოდება (§65-ის მე-2 პუნქტი) განხორციელდა.

47 ნაგულისხმევია *Insolvenzordnung (InsO)*.

(2) თუ ცნობილი კრედიტორი არ გამოცხადდება, გადასახდელი თანხა, თუ დეპონირების წინაპირობა არსებობს, კრედიტორის სასარგებლოდ დეპონირებული უნდა იყოს. თუ ვალდებულების შესრულება ამ დროისთვის შეუძლებელია ან ვალდებულება სადავოა, ქონების განაწილება მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, თუ კრედიტორს უზრუნველყოფა მიეცემა.

(3) ლიკვიდატორები, რომლებიც ამ ნორმებს დაარღვევენ, ასანაზღაურებელ თანხაზე სოლიდარულად აგებენ პასუხს. ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ §43-ის მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებები შესაბამისად გამოიყენება.

§74 ლიკვიდაციის დასრულება

(1) როდესაც ლიკვიდაცია დასრულდება და საბოლოო ანგარიშგება შედგება, ლიკვიდატორებმა ლიკვიდაციის დასრულება სავაჭრო რეესტრში სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინონ. საზოგადოება უნდა ამოიშალოს.

(2) ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ საზოგადოების წიგნები და საბუთები ათი წლის ვადით შესანახად უნდა გადაეცეს ერთ-ერთ პარტნიორს ან მესამე პირს. პარტნიორს ან მესამე პირს, სადამფუძნებლო შეთანხმებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო განსაზღვრავს.

(3) პარტნიორები და მათი უფლებამონაცვლეები უფლებამოსილნი არიან, გაეცნონ წიგნებსა და საბუთებს. საზოგადოების კრედიტორებს გაცნობის უფლებამოსილება შეიძლება სასამართლომ მიანიჭოს.

§75 ბათილობის სარჩელი

(1) თუ სადამფუძნებლო შეთანხმება არ შეიცავს დებულებებს საწესდებო კაპიტალის ოდენობის ან საწარმოს საქმიანობის საგნის შესახებ, ან თუ სადამფუძნებლო შეთანხმების დებულებები საქმიანობის საგნის შე-

სახებ ბათილია, მაშინ თითოეულ პარტნიორს, თითოეულ დირექტორს და, თუ სამეთვალყურეო საბჭო დანიშნულია, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს შეუძლია სარჩელის გზით მოითხოვოს, რომ საზოგადოება ბათილად იყოს ცნობილი.

(2) სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის §§246-248-ების დებულებანი შესაბამისად გამოიყენება.

§76 ხარვეზის გამოსწორება პარტნიორთა გადაწყვეტილებით

ნაკლი, რომელიც საწარმოს საქმიანობის საგნის შესახებ დებულებებს ეხება, შეიძლება გამოსწორდეს პარტნიორთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით.

§77 ბათილობის შედეგი

(1) თუ საზოგადოების ბათილობა სავაჭრო რეესტრში არის რეგისტრირებული, მაშინ მისი ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით საზოგადოების დაშლის შემთხვევისთვის მოქმედი ნორმები შესაბამისად გამოიყენება.

(2) საზოგადოების სახელით მესამე პირებთან დადებული სამართლებრივი გარიგებების ნამდვილობაზე ბათილობა გავლენას არ ახდენს.

(3) პარტნიორებმა დათქმული შენატანები უნდა განახორციელონ, რამდენადაც ეს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად არის აუცილებელი.

ნაწილი 6. სპეციალური დებულებები ფედერაციის მონაწილეობისას

§77a ორგანოების დაკომპლექტება საზოგადოებებში ფედერაციის უმრავლესობითი მონაწილეობით

(1) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები ფედერაციის უმრავლესობითი მონაწილეობით არის ადგილობრივი იურიდიული მისამართის მქონე შეზღუდული პასუხისმგებლობის ის საზოგადოებები:

1. რომელთა წილების უმრავლესობასაც ფედერაცია ფლობს;

2. რომლებიც წარმოადგენენ მსხვილ კაპიტალურ საზოგადოებებს (სავაჭრო კოდექსის §267-ის მე-3 ნაწილი) და რომელთა წილების უმრავლესობასაც ფლობენ საზოგადოებები, რომელთა წილების უმრავლესობასაც თავის მხრივ ფედერაცია ფლობს;

3. რომლებსაც, როგორც წესი, 500-ზე მეტი დასაქმებული ჰყავთ და რომელთა წილების უმრავლესობასაც ფლობენ საზოგადოებები, რომელთა წილების უმრავლესობასაც თავის მხრივ:

a) ფედერაცია ფლობს;

b) ფლობენ ისეთი საზოგადოებები, რომლებშიც წილების მფლობელობა ჯაჭვურად გრძელდება იმ საზოგადოებებამდე, რომელთა წილთა უმრავლესობასაც ფედერაცია ფლობს.

წილები, რომლებიც ფედერაციის სპეციალური ქონების[48] მეშვეობითაა მფლობელობაში, მხედველობაში არ მიიღება. ფედერაციას უთანაბ-

48 სპეციალური ქონება (გერ. *Sondervermögen)* - გერმანულ საბიუჯეტო სამართალში აღნიშნავს ფედერაციის ქონების იმ ნაწილს, რომელიც სამართლებრივად და ორგანიზაციულად გამოყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტისგან და იმართება დამოუკიდებლად, კონკრეტული მიზნებისათვის (მაგალითად: ბუნდესვერის სპეციალური ქონება, კლიმატის დაცვის ფონდი). მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური შინაარსით ის ხშირად „სპეციალურ ფონდს“ წარმოადგენს, ტერმინოლოგიური სიზუსტისთვის გამოყენებულია სიტყვა „ქონება“, რათა ხაზი

რდება ფედერაციის საჯარო სამართლის დაწესებულებები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან.

(2) თუ ფედერაციის უმრავლესობითი მონაწილეობით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ორზე მეტი დირექტორი ჰყავს, სავალდებულოა სულ მცირე ერთი დირექტორი ქალის და სულ მცირე ერთი დირექტორი კაცის ყოლა. დირექტორის დანიშვნა მონაწილეობის სავალდებულო წესის დარღვევით ბათილია. თუ მოქმედებს 1-ელი წინადადებით გათვალისწინებული მონაწილეობის სავალდებულო წესი, ხელმძღვანელობისთვის სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრის ვალდებულება არ არსებობს.

(3) ფედერაციის უმრავლესობითი მონაწილეობით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის მმართველობაში თანამონაწილეობის შესახებ კანონის, სამთო და მეტალურგიული მრეწველობის მმართველობაში თანამონაწილეობის შესახებ კანონის ან მმართველობაში თანამონაწილეობის შესახებ კანონში დამატებების შეტანის შესახებ კანონის მოქმედების მიუხედავად, შესაბამისად მოქმედებს სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის §96-ის მე-2 პუნქტი. ამ ნაწილში სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრის ვალდებულება არ არსებობს.

(4) მიწებს შეუძლიათ მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები მიწის კანონმდებლობის მეშვეობით გაავრცელონ იმ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზე, რომლებშიც არსებობს მიწის უმრავლესობითი მონაწილეობა 1-ელი პუნქტის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, მიწის უმრავლესობითი მონაწილეობით საზოგადოებებისთვის, რომლებიც მმართველობაში თანამონაწილეობას ექვემდებარებიან, შესაბამისად მოქმედებს საწარმოებში ფედერაციის უმრავლესობითი მონაწილეობით მმართველობაში თანამონაწილეობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციები და საარჩევნო წესები.

გაესვას მის სტატუსს, როგორც სახელმწიფოს ძირითადი ქონებისგან განცალკევებულ აქტივს.

ნაწილი 7. ნორმები საწესრიგო, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული ჯარიმების შესახებ[49]

§78 რეგისტრაციისთვის წარდგენაზე ვალდებული პირები

ამ კანონით გათვალისწინებული სარეგისტრაციოდ წარდგენა სავაჭრო რეესტრში დირექტორებმა ან ლიკვიდატორებმა უნდა განახორციელონ, ხოლო §7-ის 1-ელი, §57-ის 1-ელი, §57i-ის 1-ელი პუნქტებით, §58-ის 1-ელი პუნქტის №3-ით გათვალისწინებული სარეგისტრაციოდ წარდგენა - ყველა დირექტორმა.

§79 იძულებითი ჯარიმები

(1) დირექტორები ან ლიკვიდატორები, რომლებიც §§35a-ის, 71-ის მე-5 პუნქტის დებულებებს არ დაიცავენ, სარეგისტრაციო სასამართლომ ამისკენ იძულებითი ჯარიმის დაკისრებით უნდა აიძულოს; სავაჭრო კოდექსის §14 უცვლელი რჩება. ყოველი ცალკეული იძულებითი ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ევროს.

---

49 სათაურში გამოყენებული ტერმინები ასახავს გერმანული სამართლის სამდონიან სისტემას პასუხისმგებლობის შესახებ, რაც ქართულ თარგმანში შემდეგნაირად გადმოვიდა:

I. *Ordnungsvorschriften* (საწესრიგო ნორმები) - გულისხმობს ადმინისტრაციულ-საპროცესო წესრიგის დაცვას (მაგალითად, დოკუმენტების დროულად წარდგენას), რაც აღსრულდება ე.წ. „იძულებითი ჯარიმებით“ *(Zwangsgeld).*

II. *Strafvorschriften* (სისხლისსამართლებრივი ნორმები) - ეხება დანაშაულებს. რომლებიც იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

III. *Bußgeldvorschriften* (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ნორმები) - ეხება ნაკლებად მძიმე გადაცდომებს *(Ordnungswidrigkeiten),* რომლებისთვისაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ჯარიმა *(Bußgeld).*

შესაბამისად, თარგმანში ტერმინების გამიჯვნა („სისხლისსამართლებრივი“ და „ადმინისტრაციული“) აუცილებელია იმისათვის, რომ მკითხველმა ზუსტად განასხვავოს სისხლისსამართლებრივი ჯარიმა *(Geldstrafe)* ადმინისტრაციული ჯარიმისგან *(Bußgeld),* რასაც გერმანული ტერმინოლოგია მკაფიოდ მიჯნავს.

(2) §§7, 54, 57-ის 1-ელი პუნქტით, 58-ის 1-ელი პუნქტის №3-ით განსაზღვრული სავაჭრო რეესტრში სარეგისტრაციო წარდგენების მიმართ, თუ საქმე ეხება საზოგადოების იურიდიული მისამართის სავაჭრო რეესტრში წარდგენას, სავაჭრო კოდექსის §14-ის თანახმად იძულებითი ჯარიმის დაკისრება არ ხდება.

§80 (გაუქმებულია)

§81 (გაუქმებულია)

§82 ცრუ მონაცემები

(1) თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ფულადი ჯარიმით დაისჯება ის, ვინც

1. როგორც პარტნიორი ან დირექტორი, საზოგადოების რეგისტრაციის მიზნით, წილების მიღების, შენატანების განხორციელების, შეტანილი თანხების გამოყენების, განსაკუთრებული უპირატესობების, დაფუძნების ხარჯებისა და არაფულადი (მატერიალური) შენატანების შესახებ,

2. როგორც პარტნიორი, არაფულადი შენატანებით დაფუძნების შესახებ ანგარიშში,

3. როგორც დირექტორი, საწესდებო კაპიტალის გაზრდის რეგისტრაციის მიზნით, ახალი კაპიტალის ხელმოწერის ან შეტანის, ან არაფულადი შენატანების შესახებ,

4. როგორც დირექტორი, §57i-ის 1-ელი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ განცხადებაში, ან

5. როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი, ან უცხოური იურიდიული პირის ხელმძღვანელი, §8-ის მე-3 პუნქტის 1-ელი წინადადების ან §39-ის მე-3 პუნქტის 1-

ელი წინადადების ან, როგორც ლიკვიდატორი, §67-ის მე-3 ნაწილის 1-ელი წინადადების შესაბამისად შესადგენ დადასტურებაში, -

ცრუ მონაცემებს შეიტანს.

(2) ასევე დაისჯება ის, ვინც:

1. როგორც დირექტორი, საწესდებო კაპიტალის შემცირების მიზნით კრედიტორთა დაკმაყოფილების ან უზრუნველყოფის თაობაზე ცრუ დადასტურებას გასცემს, ან

2. როგორც დირექტორი, ლიკვიდატორი, სამეთვალყურეო საბჭოს ან მსგავსი ორგანოს წევრი, საჯარო შეტყობინებაში საზოგადოების ქონებრივ მდგომარეობას მცდარად წარმოაჩენს ან ფარავს, თუ ქმედება სავაჭრო კოდექსის §331-ის №1 ან 1a-ით არ ისჯება.

§83 (გაუქმებულია)

§84 დანაკარგის შეტყობინების ვალდებულების დარღვევა

(1) თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ფულადი ჯარიმით დაისჯება ის, ვინც, როგორც დირექტორი, პარტნიორებს არ შეატყობინებს საწესდებო კაპიტალის ნახევრის ოდენობის დაკარგვის შესახებ.

(2) თუ ქმედება გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი, სასჯელი არის თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან ფულადი ჯარიმა.

§85 საიდუმლოების დაცვის ვალდებულების დარღვევა

(1) თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან ფულადი ჯარიმით დაისჯება ის, ვინც საზოგადოების საიდუმლოებას, კერძოდ საწარ-

მოო ან კომერციულ საიდუმლოებას, რომელიც მისთვის, როგორც დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან ლიკვიდატორისთვის, გახდა ცნობილი, შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე გაამჟღავნებს.

(2) თუ დამნაშავე მოქმედებს სასყიდლის სანაცვლოდ ან იმ განზრახვით, რომ საკუთარი თავი ან სხვა გაამდიდროს ან სხვას ზიანი მიაყენოს, სასჯელი არის თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან ჯარიმა. ასევე დაისჯება ის, ვინც 1-ელ პუნქტში აღნიშნული სახის საიდუმლოებას, კერძოდ, საწარმოო ან კომერციულ საიდუმლოებას, რომელიც მისთვის 1-ელი პუნქტის წინაპირობების არსებობისას გახდა ცნობილი, შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე გამოიყენებს.

(3) ქმედების გამო სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ საზოგადოების საჩივრის საფუძველზე ხორციელდება. თუ ქმედება ჩაიდინა დირექტორმა ან ლიკვიდატორმა, საჩივრის შეტანის უფლებამოსილება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არსებობს - პარტნიორების მიერ დანიშნულ სპეციალურ წარმომადგენლებს. თუ ქმედება ჩაიდინა სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, საჩივრის შეტანის უფლებამოსილება აქვთ დირექტორებს ან ლიკვიდატორებს.

§86 ვალდებულებების დარღვევა წლიური ანგარიშგების შემოწმებისას

(1) თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან ფულადი ჯარიმით დაისჯება ის, ვინც, როგორც იმ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან აუდიტის კომიტეტის წევრი, რომელიც სავაჭრო კოდექსის §316a-ის მე-2 წინადადების №1 ან 2-ის თანახმად საჯარო ინტერესის მქონე საწარმოს წარმოადგენს,

1. ჩაიდენს §87-ის 1-ელი, მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას და ამისთვის მიიღებს ქონებრივ სარგებელს ან მიიღებს მის დაპირებას, ან

2. §87-ის 1-ელი, მე-2 ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას განმეორებით ჩაიდენს.

§87 ადმინისტრაციული ჯარიმის შესახებ ნორმები

(1) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას სჩადის ის, ვინც, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან აუდიტის კომიტეტის წევრი იმ საზოგადოებისა, რომელიც სავაჭრო კოდექსის §316a-ის მე-2 წინადადების №1 ან 2-ის თანახმად საჯარო ინტერესის მქონე საწარმოს წარმოადგენს,

1. აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის დამოუკიდებლობას არ ზედამხედველობს საჯარო ინტერესის მქონე საწარმოებში წლიური ანგარიშგების შემოწმების მიმართ სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ და კომისიის 2005/909/EC გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის (EU) №537/2014 რეგულაციის (ABl. L 158, 27.5.2014, გვ. 77, L 170, 11.6.2014, გვ. 66) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის 1-ელი ქვეპუნქტის 1-ელი წინადადების ან მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ან

2. წარადგენს რეკომენდაციას აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის დანიშვნის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება (EU) №537/2014 რეგულაციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ან მე-3 ქვეპუნქტის მოთხოვნებს, ან რომელსაც წინ არ უძღოდა (EU) №537/2014 რეგულაციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის 1-ელი ქვეპუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პროცედურა.

(2) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას სჩადის ის, ვინც, როგორც იმ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელსაც აუდიტის კომიტეტი არ დაუნიშნავს და რომელიც სავაჭრო კოდექსის §316a-ის მე-2 წინადადების №1 ან 2-ის თანახმად საჯარო ინტერესის მქონე საწარმოს წარმოადგენს, პარტნიორებს წარუდგენს წინადადებას აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის დანიშვნის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება (EU) №537/2014 რეგულაციის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის 1-ელი ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

(3) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას სჩადის ის, ვინც, როგორც მე-2 პუნქტში აღნიშნული საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელსაც აუდიტის კომიტეტი დანიშნული აქვს, პარტნიორებს წარუდგენს წინადადებას აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის დანიშვნის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება (EU) №537/2014 რეგულაციის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის 1-ელი ქვეპუნქტის ან მე-2 ქვეპუნქტის 1-ელი ან მე-2 წინადადების მოთხოვნებს.

(4) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შეიძლება ხუთასი ათას ევრომდე ოდენობის ჯარიმით დაისაჯოს.

(5) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონის[50] §36-ის 1-ელი პუნქტის №1-ის მნიშვნელობით ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს: საზოგადოების შემთხვევაში, რომელიც სავაჭრო კოდექსის §316a-ის მე-2 წინადადების №2-ის თანახმად საჯარო ინტერესის მქონე საწარმოა - ფინანსური მომსახურების ზედამხედველობის ფედერალური უწყება[51], ხოლო სხვა შემთხვევაში - იუსტიციის ფედერალური უწყება.

§88 შეტყობინებები აუდიტორთა ზედამხედველობის ორგანოსთვის[52]

(1) §87-ის მე-5 პუნქტის მიხედვით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ეკონომიკისა და ექსპორტის კონტროლის ფედერალურ უწყებასთან[53] არსებულ აუდიტორთა ზედამხედველობის ორგანოს უგ-

50 ნაგულისხმევია *Gesetz über Ordnungswidrigkeiten (OWiG)*.

51 *Bundesanstalt für Finanzdienstleistungsaufsicht (BaFin)* - ფინანსური მომსახურების ზედამხედველობის ფედერალური უწყება. ეს არის გერმანიის მთავარი საფინანსო რეგულატორი.

52 *Abschlussprüferaufsichtsstelle (APAS)* - აუდიტორთა ზედამხედველობის ორგანო. გერმანიაში ეს არის სპეციალური უწყება, რომელიც აკონტროლებს აუდიტორებს (საქართველოში მისი ანალოგია SARAS - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური).

53 *Bundesamt für Wirtschaft und Ausfuhrkontrolle (BAFA)* - ეკონომიკისა და ექსპორტის კონტროლის ფედერალური უწყება.

ზავნის §87-ის 1-ელი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ყველა გადაწყვეტილებას დაჯარიმების შესახებ.

(2) სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთა საგანია §86-ით გათვალისწინებული დანაშაული, საჯარო ბრალის წაყენების შემთხვევაში პროკურატურა აუდიტორთა ზედამხედველობის ორგანოს უგზავნის წარმოების შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. თუ გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარია შეტანილი, გადაწყვეტილება შეტანილ საჩივარზე მითითებით უნდა გაიგზავნოს.

დანართი 1. (§2-ის 1a პუნქტისთვის)

ა) სტანდარტული ოქმი
ერთი პირის საზოგადოების დასაფუძნებლად

სანოტარო რეესტრის №
_____

დღეს, _____,

გამოცხადდა [ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით][5]) ჩემ,
_____-ის, ნოტარიუსის, წინაშე, რომლის სამუშაო ადგილია

_____
_____,

ბატონი/ქალბატონი)

_____
_____
_____
_____
_____ [2]).

1. გამოცხადებული პირი ამით, შპს-ის შესახებ კანონის მე-2 მუხლის 1a პუნქტის თანახმად, [ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით][5]) _____ აფუძნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საფირმო სახელწოდებით:

_____
_____,

ადგილსამყოფლით:
_____
_____,

2. საწარმოს საქმიანობის საგანია:
_____

3. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს
_____ ევროს (სიტყვიერად:
_____ ევრო) და სრულად მიიღებს:
ბატონი/ქალბატონი 1)
_____
_____ (წილი № 1). შენატანი უნდა განხორციელდეს ფულადი სახით, კერძოდ, დაუყოვნებლივ სრული ოდენობით / 50% დაუყოვნებლივ, ხოლო დანარჩენი - როგორც კი პარტნიორთა კრება მის მოთხოვნას გადაწყვეტს[3]).

4. საზოგადოების დირექტორად ინიშნება ბატონი/ქალბატონი[4]):

_____
_____,

დაბადების თარიღი: _____, მცხოვრები:
_____

_____
_____, დირექტორი გათავისუფლებულია სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის შეზღუდვებისგან.

5. საზოგადოება გაიღებს დაფუძნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ჯამში 300 ევრომდე ოდენობით, თუმცა არაუმეტეს მისი საწესდებო კაპიტალის ოდენობისა. ამაზე მეტ ხარჯებს საკუთარ თავზე იღებს პარტნიორი.

6. ამ დოკუმენტის თითო ეგზემპლარს იღებს პარტნიორი, დამოწმებულ ასლებს - საზოგადოება და სარეგისტრაციო სასამართლო (ელექტრონული ფორმით), ხოლო უბრალო ასლს - საგადასახადო უწყება (კორპორაციული გადასახადის განყოფილება).

7. გამოცხადებულ პირს ნოტარიუსმა განსაკუთრებით მიუთითა შემდეგზე:

_____
_____
_____
_____

შენიშვნები:

1. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს. იურიდიული პირების შემთხვევაში მიმართვა „ბატონი/ქალბატონი“ უნდა გამოირიცხოს.
2. აქ პარტნიორის დასახელებასა და სანოტარო წესით იდენტიფიკაციის მონაცემებთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს ქონებრივი რეჟიმი და მეუღლის თანხმობა, ასევე მონაცემები შესაძლო წარმომადგენლობის შესახებ.
3. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს. მეწარმის საზოგადოების შემთხვევაში მეორე ალტერნატივა უნდა გადაიხაზოს.
4. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს.
5. მითითება ვიდეოკომუნიკაციაზე ფიზიკური დასწრებით დადასტურების შემთხვევაში უნდა გადაიხაზოს.

_____
_____

ბ) სტანდარტული ოქმი
მრავალი პარტნიორის საზოგადოების დასაფუძნებლად (სამ პარტნიორამდე)

სანოტარო რეესტრის №
_____

დღეს, _____,

[ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით][5]) ჩემ,
_____-ის, ნოტარიუსის, წინაშე, რომლის სამუშაო ადგილია _____,
გამოცხადდნენ:

ბატონი/ქალბატონი[1])

_____
_____
_____
_____ [2]),

ბატონი/ქალბატონი[1])

_____
_____
_____
_____ [2]),

ბატონი/ქალბატონი[1])

_____
_____
_____
_____ [2]).

1. გამოცხადებული პირები ამით, შპს-ის შესახებ კანონის მე-2 მუხლის 1a პუნქტის თანახმად, [ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით][5])
_____ აფუძნებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საფირმო სახელწოდებით:
_____
_____, ადგილსამყოფლით:
_____
_____,

2. საწარმოს საქმიანობის საგანია:
_____

3. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს
_____ ევროს (სიტყვიერად:
_____ ევრო) და ნაწილდება შემდეგნაირად:

ბატონი/ქალბატონი[1]) _____ იღებს წილს ნომინალური ღირებულებით _____ ევრო (სიტყვიერად: _____ ევრო) (წილი № 1),

ბატონი/ქალბატონი[1]) _____ იღებს წილს ნომინალური ღირებულებით _____ ევრო (სიტყვიერად: _____ ევრო) (წილი № 2),

ბატონი/ქალბატონი[1]) _____ იღებს წილს ნომინალური ღირებულებით _____ ევრო (სიტყვიერად: _____ ევრო) (წილი № 3).

შენატანები უნდა განხორციელდეს ფულადი სახით, კერძოდ, დაუყოვნებლივ სრული ოდენობით / 50% დაუყოვნებლივ, ხოლო დანარჩენი - როგორც კი პარტნიორთა კრება მის მოთხოვნას გადაწყვეტს[3]).

4. საზოგადოების დირექტორად ინიშნება ბატონი/ქალბატონი[4]):

_____

_____

_____

დაბადების თარიღი: _____, მცხოვრები: _____

_____

_____

_____

დირექტორი გათავისუფლებულია სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის შეზღუდვებისგან.

5. საზოგადოება გაიღებს დაფუძნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ჯამში 300 ევრომდე ოდენობით, თუმცა არაუმეტეს მისი საწესდებო კაპიტალის ოდენობისა. ამაზე მეტ ხარჯებს საკუთარ თავზე იღებენ პარტნიორები მათი წილების ნომინალური ღირებულების პროპორციულად.

6. ამ დოკუმენტის თითო ეგზემპლარს იღებს თითოეული პარტნიორი, დამოწმებულ ასლებს - საზოგადოება და სარეგისტრაციო სასამართლო (ელექტრონული ფორმით), ხოლო უბრალო ასლს - საგადასახადო უწყება (კორპორაციული გადასახადის განყოფილება).

7. გამოცხადებულ პირებს ნოტარიუსმა განსაკუთრებით მიუთითა შემდეგზე:

_____

_____

_____

_____

შენიშვნები:

1. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს. იურიდიული პირების შემთხვევაში მიმართვა „ბატონი/ქალბატონი“ უნდა გამოირიცხოს.
2. აქ პარტნიორის დასახელებასა და სანოტარო წესით იდენტიფიკაციის მონაცემებთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს ქონებრივი რეჟიმი და მეუღლის თანხმობა, ასევე მონაცემები შესაძლო წარმომადგენლობის შესახებ.
3. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს. მეწარმის საზოგადოების შემთხვევაში მეორე ალტერნატივა უნდა გადაიხაზოს.
4. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს.
5. მითითება ვიდეოკომუნიკაციაზე ფიზიკური დასწრებით დადასტურების შემთხვევაში უნდა გადაიხაზოს.

დანართი 2. (§2-ის მე-3 პუნქტისთვის)

ა) სტანდარტული ოქმი ერთი პირის საზოგადოების ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით დაფუძნებისთვის

სანოტარო რეესტრის № _____

დღეს, _____,

ჩემ, _____-ის, ნოტარიუსის, წინაშე, რომლის სამუშაო ადგილია _____, ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით გამოცხადდა:

ბატონი/ქალბატონი [1]) _____

_____ [2])

1. გამოცხადებული პირი [1]) ამით, შპს-ის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ვიდეოკომუნიკაციის გზით სანოტარო წესით დადასტურების მეშვეობით, სანოტარო დადასტურების შესახებ კანონის (BeurkG) 16a და მომდევნო მუხლების შესაბამისად, აფუძნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საფირმო სახელწოდებით:

_____
_____, ადგილსამყოფლით:
_____
_____,

2. საწარმოს საქმიანობის საგანია:
_____

3. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს _____ ევროს (სიტყვიერად: _____ ევრო) და მას სრულად იღებს:

ბატონი/ქალბატონი [1]) _____ (წილი № 1).

შენატანი უნდა განხორციელდეს ფულადი სახით, კერძოდ, დაუყოვნებლივ სრული ოდენობით / 50% დაუყოვნებლივ, ხოლო დანარჩენი - როგორც კი პარტნიორთა კრება მის მოთხოვნას გადაწყვეტს [3]).

4. საზოგადოების დირექტორად ინიშნება / საზოგადოების დირექტორებად ინიშნებიან [3]):

ბატონი/ქალბატონი [4])

_____
_____

დაბადების თარიღი: _____, მცხოვრები: _____

_____
_____

_____
_____ [5])

დირექტორი გათავისუფლებულია / დირექტორები გათავისუფლებულნი არიან [4]) სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის შეზღუდვებისგან. თუ დანიშნულია მხოლოდ ერთი დირექტორი, ის საზოგადოებას წარმოადგენს ერთპიროვნულად. თუ დანიშნულია რამდენიმე დირექტორი, საზოგადოებას წარმოადგენს ორი დირექტორი ერთობლივად ან ერთი დირექტორი პროკურისტთან ერთად.

5. საზოგადოება გაიღებს დაფუძნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ჯამში 600 ევრომდე ოდენობით, თუმცა არაუმეტეს მისი საწესდებო კაპიტალის ოდენობისა. ამაზე მეტ ხარჯებს საკუთარ თავზე იღებს პარტნიორი.

6. ამ დოკუმენტის თითო ეგზემპლარს იღებს თითოეული პარტნიორი, დამოწმებულ ასლებს - საზოგადოება და სარეგისტრაციო სასამართლო (ელექტრონული ფორმით), ხოლო უბრალო ასლს - საგადასახადო უწყება (კორპორაციული გადასახადის განყოფილება).

7. გამოცხადებულ პირს/პირებს[3]) ნოტარიუსმა განსაკუთრებით მიუთითა შემდეგზე:

_____
_____
_____
_____

შენიშვნები:

1. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს. იურიდიული პირების შემთხვევაში მიმართვა „ბატონი/ქალბატონი“ უნდა გამოირიცხოს.
2. აქ პარტნიორის დასახელებასა და სანოტარო წესით იდენტიფიკაციის მონაცემებთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს ქონებრივი რეჟიმი და მეუღლის თანხმობა, ასევე მონაცემები შესაძლო წარმომადგენლობის შესახებ.
3. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს. მეწარმის საზოგადოების შემთხვევაში მეორე ალტერნატივა უნდა გადაიხაზოს.
4. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს.
5. შეიძლება დაემატოს სხვა დირექტორები.

_____
_____

ბ) სტანდარტული ოქმი მრავალი პირის საზოგადოების ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით დაფუძნებისთვის

სანოტარო რეესტრის № _____

დღეს, _____,

ჩემ, _____-ის, ნოტარიუსის, წინაშე, რომლის სამუშაო ადგილია _____, ვიდეოკომუნიკაციის მეშვეობით გამოცხადდნენ:

ბატონი/ქალბატონი [1]) _____

_____ [2])

ბატონი/ქალბატონი [1]) _____

_____ [2])

ბატონი/ქალბატონი [1]) _____

_____ [2])

1. გამოცხადებული პირები ამით, შპს-ის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადამფუძნებლო შეთანხმების ვიდეოკომუნიკაციის გზით სანოტარო წესით დადასტურების მეშვეობით, სანოტარო დადასტურების შესახებ კანონის 16a და მომდევნო მუხლების შესაბამისად, აფუძნებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საფირმო სახელწოდებით:

_____

_____, ადგილსამყოფლით:

_____

_____,

2. საწარმოს საქმიანობის საგანია:
_____
_____

3. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს _____ ევროს (სიტყვიერად: _____ ევრო) და ნაწილდება შემდეგნაირად:

ბატონი/ქალბატონი [3]) _____ იღებს წილს ნომინალური ღირებულებით _____ ევრო (სიტყვიერად: _____ ევრო) (წილი № 1),

ბატონი/ქალბატონი 3) _____ იღებს წილს ნომინალური ღირებულებით _____ ევრო (სიტყვიერად: _____ ევრო) (წილი № 2),

ბატონი/ქალბატონი 3) _____ იღებს წილს ნომინალური ღირებულებით _____ ევრო (სიტყვიერად: _____ ევრო) (წილი № 3).

შენატანები უნდა განხორციელდეს ფულადი სახით, კერძოდ, დაუყოვნებლივ სრული ოდენობით / 50% დაუყოვნებლივ, ხოლო დანარჩენი - როგორც კი პარტნიორთა კრება მის მოთხოვნას გადაწყვეტს [4]).

4. საზოგადოების დირექტორად ინიშნება / საზოგადოების დირექტორებად ინიშნებიან [3]):

ბატონი/ქალბატონი [3])

_____
_____

დაბადების თარიღი: _____, მცხოვრები: _____ _____

ბატონი/ქალბატონი [3])

დაბადების თარიღი: _____, მცხოვრები: _____

_____ _____

_____ _____ [5])

დირექტორი გათავისუფლებულია / დირექტორები გათავისუფლებულნი არიან [3]) სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის შეზღუდვებისგან. თუ დანიშნულია მხოლოდ ერთი დირექტორი, ის საზოგადოებას წარმოადგენს ერთპიროვნულად. თუ დანიშნულია რამდენიმე დირექტორი, საზოგადოებას წარმოადგენს ორი დირექტორი ერთობლივად ან ერთი დირექტორი პროკურისტთან ერთად.

5. საზოგადოება გაიღებს დაფუძნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ჯამში 600 ევრომდე ოდენობით, თუმცა არაუმეტეს მისი საწესდებო კაპიტალის ოდენობისა. ამაზე მეტ ხარჯებს საკუთარ თავზე იღებენ პარტნიორები მათი წილების ნომინალური ღირებულების პროპორციულად.

6. ამ დოკუმენტის თითო ეგზემპლარს იღებს თითოეული პარტნიორი, დამოწმებულ ასლებს - საზოგადოება და სარეგისტრაციო სასამართლო (ელექტრონული ფორმით), ხოლო უბრალო ასლს - საგადასახადო უწყება (კორპორაციული გადასახადის განყოფილება).

7. გამოცხადებულ პირებს ნოტარიუსმა განსაკუთრებით მიუთითა შემდეგზე:

_____
_____
_____
_____

შენიშვნები:

1. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს. იურიდიული პირების შემთხვევაში მიმართვა „ბატონი/ქალბატონი“ უნდა გამოირიცხოს.
2. აქ თითოეულ შემთხვევაში პარტნიორის დასახელებასა და სანოტარო წესით იდენტიფიკაციის მონაცემებთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს ქონებრივი რეჟიმი და მეუღლის თანხმობა, ასევე მონაცემები შესაძლო წარმომადგენლობის შესახებ.
3. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს.
4. რაც არ შეესაბამება, გადაიხაზოს. მეწარმის საზოგადოების შემთხვევაში მეორე ალტერნატივა უნდა გადაიხაზოს.
5. შეიძლება დაემატოს სხვა დირექტორები.